

**ინოვაციური ეკონომიკა
და მართვა**

**INNOVATIVE ECONOMY
AND MANAGEMENT**

1

**Volume 1, Ussue 1.
2016**

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი

ბადრი გიგზაია, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

გელა მამულაძე, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

პასუხისმგებელი რედაქტორი

პაატა აროშიძე, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **სილაგაძე ავთანდილ** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), **აბესაძე ნინო**, **აბესაძე რამაზ**, **აბრალაფა ანზორ**, **არჩვაძე იოსებ**, **აფხაზაფა თენგიზ**, **ბაბუნაშვილი თეიმურაზ**, **ბაკურაძე აკაკი**, **ბარათაშვილი ვეგენი**, **ბერიძე როსტომ**, **გოლეითანი ქეთევან**, **დათაშვილი ვახტანგ**, **დევაძე ანზორ**, **დურული ციური**, **ელაია ლია**, **ერქომაიშვილი გულნაზ**, **ვანიშვილი მერაბ**, **თაკალანძე ლარისა**, **თუთბერიძე გოჩა**, **კაკუ-**

ლია ნაზირა, **კოლუაშვილი პაატა**, **ლიპარტუ-ლიანი ნინო**, **მამულაძე რომან**, **მანველიძე რეზო**, **მესხია იაკობ**, **მიქელთაძე ნათია**, **სიჭინაფა ალექსანდრე**, **ფარესაშვილი ნინო**, **ქოქიაური ლამარა**, **დავითაძე გიორგი**, **ღლონტი ვლადიმერ**, **ღურწყაია კარლო**, **ყორღანაშვილი ლარისა**, **შანიძე გოდერძი**, **შენგელია თეიმურაზ**, **შონია ნანა**, **ჩიხლაძე ნიკოლოზ**, **ჩხაიძე ირმა**, **ცინცაძე ასიე**, **წიკლაშვილი ნათია**, **ხარაიშვილი ეთერ**, **ხვედელიძე პარმენ**, **ჯალაღონია დავით**, **ჯიბუტი მიხეილ**, **ჯოლია გურამ**.

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები:

- ჰესუს ფერეირო აპარაციო** – ე.მ.დ. ბასკეთის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი (ესპანეთი);
- შეარლეთი სერგეი** – ე.მ.დ. პროფესორი. ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ჩერნიგოვი, უკრაინა);
- კიზიმ ნიკოლაი** – ე.მ.დ. პროფესორი. უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
- რუდენკო ოლგა** – სახელმწიფო მართვის დოქტორი, პროფესორი. ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვისა და მენეჯმენტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;
- ვლოვენკო ნატალია** – ე.მ.დ. პროფესორი. უკრაინის ბიოლოგიისა და გარემოს დაცვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გლობალური ეკონომიკის კათედრის გამგე (კიევი, უკრაინა);
- შიმანოვსკა-დიანიჩ ლიუდმილა** – ე.მ. დ. პროფესორი. პოლტავას ეკონომიკისა და ვაჭრობის უნივერსიტეტის მენეჯმენტის კათედრის გამგე (პოლტავა, უკრაინა);

ხაუსტოვა ვიქტორია	– ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი (უკრაინა);
ბადიდა მიროსლავ	– მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ქ. კომიცეს ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროცესებისა და ინჟინერიის კათედრის გამგე (კომიცე, სლოვაკეთი);
კუნაბსკი ალექსანდრე	– სახელმწიფო მართვის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (პოლონეთი);
ჩერნეცკი პაველ	– დოქტორი, პროფესორი. ვარშავის უმაღლესი მენეჯმენტის სკოლის რექტორი (ვარშავა, პოლონეთი);
ტრონიკოვსკი ტადეუშ	– მენეჯმენტის დოქტორი, პროფესორი (ვლოცლავეკი, პოლონეთი);
კელემენ მიროსლავ	– დოქტორი, პროფესორი. ქ. კომიცეს უსაფრთხოებისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტის რექტორი (კომიცე, სლოვაკეთი);
ლუკინი სერგეი	– ე.მ.დ. ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (მინსკი, ბელორუსია);
ზლოტნიკოვა ლიდა	– ე.მ.კ. პროფესორი. ბელორუსიის ვაჭრობისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი (გომელი, ბელორუსია);
ჩიხლაძე ლევან	– იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი (რუსეთი, მოსკოვი);
ისაყვი ნამიგ	– ბიზნესისა და მართვის დოქტორი, აზერბაიჯანის საერთაშორისო დიასპორის წარმომადგენელი საქართველოში (ბაქო, აზერბაიჯანი);
მიდელსკი სერგეი	– პროფესორი. მენეჯმენტის რეგიონული აკადემიის პრეზიდენტი (ყაზახეთი, პავლოდარი);
ვარხოლა მიხაილ	– დოქტორი, პროფესორი მიხაილ ბალუდიანსკის სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი (სლოვაკეთი, კომიცე);
გაურანგ რამი	– ეკონომიკის დოქტორი, ვიერ ნორმანდის გუჯარატის უნივერსიტეტის პროფესორი (გუჯარატი, ინდოეთი);
რომანენკო ვეგენი	– სახელმწიფო მართვის მეცნიერებათა დოქტორი. პერსონალის მართვის რეგიონული აკადემიის საჯარო მმართველობის კათედრის გამგე, დოცენტი (უკრაინა, კიევი).

ა(ა)იპ ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტისა და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“.

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

აკრძალულია გამოქვეყნებული მასალის გამრავლება ან გავრცელება კომერციული თვალსაზრისით.

EDITORIAL BOARD

Editor in Chief

Badri Gechbaia, Doctor of Economics, Associate Professor.

Deputy Editor

Gela Mamuladze, Doctor of Economics, Professor.

Responsible Editor

Paata Aroshidze, Doctor of Economics, Associate Professor.

Editorial Board Members:

Doctors of Economic Sciences, Professors: **Silagadze Avtandil** (Academician of the National Academy of Sciences of Georgia), **Abesadze Nino**, **Abesadze Ramaz**, **Abralava Anzor**, **Apkhazava Tengiz**, **Archvadze Ioseb**, **Babunashvili Teimuraz**, **Bakuradze Akaki**, **Baratashvili Evgeni**, **Beridze Rostom**, **Chikhladze Nikoloz**, **Chkhaidze Irma**, **Cincadze Asie**, **Datashvili Vakhtang**, **Devadze Anzor**, **Duruli Tsiuri**,

Eliava Lia, **Erqomaishvili Gulnaz**, **Gavtadze Giorgi**, **Glonti Vladimer**, **Goletiani Ketevan**, **Gurtckaia Karlo**, **Jabnidze Rezo**, **Jalagonia Davit**, **Jibuti Mikheil**, **Jolia Guram**, **Kakulia Nazira**, **Kharaishvili Eter**, **Khvedelidze Armen**, **Koguashvili Paata**, **Korganashvili Larisa**, **Liparteliani Nino**, **Mamuladze Roman**, **Manvelidze Rezo**, **Meskhia Iakob**, **Mikeltadze Natia**, **Paresashvili Nino**, **Qoqiauri Lamara**, **Shanidze Goderdzi**, **Shengelia Teimuraz**, **Shonia Nana**, **Sichinava Aleksandre**, **Takalandze Larisa**, **Tsiklashvili Natia**, **Tutberidze Gocha**, **Vanishvili Merab**.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

- | | |
|------------------------------------|--|
| Aparacio Jesus Fereiro | – Professor of the Faculty of Economics and Business on the University of Basque Country (Spain); |
| Kyzym Mykola | – Doctor of Economic Sciences, Professor. Corresponding Member of National Academy of Sciences of Ukraine. Honored Economist of Ukraine |
| Shkarlet Serhii | – Doctor of Economic Sciences, Professor. Rector of Chernihiv National University of Technology (Ukraine); |
| Rudenko Olha | – Doctor of Public Administration, Associate Professor, Director of SRI of Public Administration and Management, Professor of the Department of Management of Chernihiv National University of Technology (Ukraine); |
| Vdovenko Natalia | – Doctor of Economic Sciences, Professor (Ukraine); |
| Shimanovska-Dianich Ludmila | – Doctor of Economic Sciences, Professor (Ukraine); |
| Khaustova Victoria | – Doctor of Sciences (Economics), Associate Professor, Senior Research Fellow, Department of Innovation Development and |

- Competitiveness, Research Centre of Industrial Problems of Development of NAS of Ukraine;
- Badida Miroslav** – Doctor of Sciences, Professor, Pro-Dean of Machine Building Faculty of Technical University of Kosice (Slovak Republic);
- Kuchabskyi Oleksandr** – Doctor of Public Administration, Associate Professor (Poland);
- Chernetski Pavel** – Doctor of Sciences, Professor, Rector of Warsaw Management University (Poland);
- Trocikowski Tadeusz** – Doctor of Business Administration, Full Professor of Management, Correspondent Member of RAM (Poland);
- Kelemen Miroslav** – Doctor of Science, Professor, Rector of Kosice University of Security Management (Slovak Republic)
- Lukin Sergei** – Doctor of Economic Sciences. Belarusian State University, Professor (Belarus, Minsk);
- Zlotnikova Lidia** – PhD in Economics, Associate Professor. Belarusian Trade and Economics University of Consumer Cooperatives (Belarus, Gomel);
- Chihladze Levan** – Doctor of Law, Full Professor. Head of the Department Municipal Law. RUDN University (Russia);
- Isayev Namig** – PhD in Business Administration. Representation of Azerbaijan International Diaspora Centre in Georgia, (Azerbaijan);
- Midelski Sergey** – Professor. President of Regional Academy of Management (Kazakhstan);
- Varchola Michal** – Doctor of Sciences, Professor, President of the Academic Society of Michal Baludansky (Slovak Republic);
- Gaurang Rami** – PHD Professor, Department of Economics Veer Narmad South Gujarat University (India);
- Romanenko Yevchen** – Doctor of Science in Public Administration, Professor, Head of the Dept. of Public Administration of Interregional Academy of Personnel Management(Ukraine).

A (N) and the National Institute of Economic Research of the Teaching University of Batumi Navigation and Reviewing Scientific Journal “Innovative Economy and Management”

Author responsible for the accuracy of the published article. His position may not coincide with the views of the Editorial Board.

It is prohibited to publish or distribute copies of commercial terms.

ISSN: 2449-2418

ვილოსკვი

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ ЭКОНОМИЧЕСКИХ
НАУК ГРУЗИИ



GEORGIAN ACADEMY OF ECONOMICAL
SCIENCES

0177, Тбилиси, ул.Университетская, №2

0177, Tbilisi, University St.№2

0177, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2
ტელ.: 230-40-53, 230-35-67phone



ჟურნალის „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“

რედაქციას

წარმატებები რთულ, მაგრამ სასიამოვნო გზაზე

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ახალი პერიოდული სამეცნიერო გამოცემა მკვლევართა დადებით ემოციას იწვევს ხოლმე. ბუნებრივია, მეც ძალიან გამიხარდა ეკონომიკური კვლევების ეროვნულ ინსტიტუტთან საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“ დაარსება. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას, მოიზიდოს და გამოაქვეყნოს მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევების შედეგები, ხელი შეუწყოს ქართული ეკონომიკური მეცნიერების მიღწევების პოპულარიზაციას და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას. ყოველივე ეს ძალიან ჰუმანური და მიმზიდველი მისიაა, თუმცა ახალ ჟურნალს მოუწევს მწვავე კონკურენტულ ბრძოლაში ჩაბმა, რადგან დღეს საქართველოში ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში 20-ზე მეტი სამეცნიერო ჟურნალი გამოიცემა. მათი რეიტინგი ოფიციალურად არავის დაუთვლია, მაგრამ უბრალო ზედაპირული ანალიზითაც შეიძლება იმის თქმა, რომ გარდა 2-3 გამოცემისა, დანარჩენები არ სარგებლობენ მაღალი ავტორიტეტით. ამ ბოლო დროს ბევრი ახალი ჟურნალიც დაარსდა, თუმცა მათმა ნაწილმა ვერ გაუძლო კონკურენციას და მოკლე დროში დაიხურა.

გულწრფელად მჯერა, რომ ამ ახლად დაარსებული ჟურნალის მენეჯმენტი ინოვაციურად მიუდგება ამ ეროვნული საქმის წარმატებულად წარმართვას, რისი პირველი სიმპტომებიც უკვე გამოიკვეთა. ჟურნალს სათავეში უდგანან ახალგაზრდა, ენერგიული, ნიჭიერი მკვლევარები, სარედაქციო საბჭოში წარმოდგენილია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, უნივერსიტეტების, ეკონომიკური პროფილის აკადემიების და ინსტიტუტების თვალსაჩინო მეცნიერები, აგრეთვე ცნობილი მკვლევარები ესპანეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, ბელორუსეთიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, რაც ჟურნალის საერთაშორისო აღიარებას შეუწყობს ხელს. მისასალმებელია და სწორია ჩვენი ქვეყნის რეგიონული უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების წამომადგენელთა ჟურნალის საბჭოში გაწევრიანება.

წინ დიდი საქმე ელის ჟურნალის მენეჯმენტს. კონკურენტული ბეჭდვითი პროდუქტის გამოშვება ურთულესი ამოცანაა დღევანდელი ინფორმაციული და ტექნოლოგიური რევოლუციის პირობებში. ჩემი გულწრფელი რჩევები ახალგაზრდა გამომცემლებს - არ შეშინდეთ: მთავარია მაღალი კონკურენციის პირობებში საგამომცემლო ბაზარზე შეღწევა და ადგილის მყარად დამკვიდრება, რისთვისაც გადამწყვეტია ხარისხიანი პროდუქტის გამოშვება. ამისთვის კი საჭიროა სამეცნიერო ნაშრომებისადმი მაღალი მომთხოვნელობა, სარედაქციო საბჭოს საქმიანი ჩართულობა რეცენზირების პროცესში, აქტუალურ თემატიკაზე მაღალკვალიფიციური ავტორების მოზიდვა, აქტიური ძალისხმევა ჟურნალის საერთაშორისო ელექტრონულ ბრუნვაში ჩართვის კუთხით, ჟურნალის დაგეგმილ დროში უწყვეტად გამოცემა, თითოეული გამოცემული ნომრის პოპულარიზაცია, სტატიების საერთაშორისოდ აღიარებული ფორმატით მომზადება-გამოცემა, სპონსორების მოზიდვა და ა.შ.

ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, კოლეგებო, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სახელით გილოცავთ ამ შესანიშნავ წამოწყებას, გისურვებთ თქვენი ჩანაფიქრების სრულად აღსრულებას და წარმატებებს ამ რთულ, მაგრამ სასიამოვნო გზაზე. უფალი გფარავდეთ.

იანა მუსხია,

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის კათედრის ხელმძღვანელი,

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის

პრეზიდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი



ქ. თბილისი
№ 5/ - 028

12 მაისი 2016 წელი

საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალ
„ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“-ს მთავარ რედაქტორს, ეკონომიკის
დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსს,

ბატონ ბადრი გეგზაიას

ბატონო ბადრი,

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სახელით მაქვს პატივი თქვენი ჟურნალის
შემოქმედებით კოლექტივს და აჭარის ინტელიგენციას გულითადად მოგილოცოთ ახალი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნება და გისურვოთ წარმატებები. ჩვენ
დარწმუნებული ვართ, რომ ეს ჟურნალი კიდევ ერთი, შინაარსობრივად დატვირთული,
ავტორიტეტული და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემა გახდება.

აჭარა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ინტელიგენციით, რომელსაც არა მარტო
საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ გაჰქონდა და გააქვს ქართული ინტელექტი
მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, მწერლობისა და შემოქმედების კუთხით. ამ მიმართებითაც
გვჯერა, რომ თქვენი ჟურნალი აქტიურად იქნება ჩართული ამ პროცესებში.

აღსანიშნავი და მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ თქვენთან ერთად აჭარის სხვადასხვა
სამეცნიერო წრებიდან ჩვენს აკადემიაში წარმოდგენილნი ბრძანდებით რამოდენიმე მეცნიერი და
ჩვენ მივესალმებით ღირსეული წევრებით ჩვენი რიგების შევსებას თქვენი რეკომენდაციებით.

პატივცემულო კოლეგებო, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია კიდევ ერთხელ
ულოცავს თქვენს საერთაშორისო ჟურნალს დაფუძნებას და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი
თანამშრომლობა უფრო აქტიურ ფაზაში გაგრძელდება.

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით,

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი,
ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე

თეიმურაზ ბაბუნაშვილი

МІНІСТЕРСТВО ОСВІТИ І
НАУКИ УКРАЇНИ



MINISTRY OF EDUCATION AND
SCIENCE OF UKRAINE

ЧЕРНІГІВСЬКИЙ НАЦІОНАЛЬНИЙ
ТЕХНОЛОГІЧНИЙ УНІВЕРСИТЕТ

вул. Шевченка, 95, Чернігів, 14027,
Україна

тел. +38(04622) 3-16-51;
факс +38(04622) 3-42-44
E-mail: estu@stu.cn.ua
www.stu.cn.ua
Код ЄДРПОУ 05460798

CHernihiv National
University of Technology

95, Shevchenko str., Chernihiv, 14027,
Ukraine

10.05.2016 № 10/10-1066

На № _____ від _____

On behalf of Chernihiv National University of Technology and myself, I sincerely would like to thank all those who took the initiative and joined the foundation of a new International scientific journal "Innovative Economy and Management".

I hope that the International scientific journal "Innovative Economy and Management" will be of interest and will contribute to raising the professional level of mutual understanding and mutual enrichment of professionals engaged in research and development of economic sciences worldwide. We are very grateful and look forward to continue cooperation as well as to expand the partnership in the future.

On behalf of authors team of Chernihiv National University of Technology and myself, I thank you again for the honor to be published in your journal.

I am confident in the preservation of the existing business and friendly relations, I hope for further mutually beneficial cooperation! I wish the successful development and achievement of new heights in science!

*With respect and the best wishes,
Rector*

Serhiy Shkarlet



საქართველო
GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ააკაი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY



4600, საქართველო, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59
ტელ: (+995 431) 24 57 84; (+995 431 24 38 33)
ელ. ფოსტა: atsu@atsu.edu.ge

59, Tamar Mefe st., 4600 Kutaisi, Georgia
Tel.: (+995 431) 24 57 84; (+995 431 24 38 33)
E-mail: atsu@atsu.edu.ge



MES 0 16 00345804

06/04/2016

ჟურნალის „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“
მთავარ რედაქტორს, ბატონ ბადრი გეგზაიას

ბატონო ბადრი,

გულწრფელად გილოცავთ ახალი საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი ჟურნალის „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“ გამოცემას.

თანამედროვე ქართული ეკონომიკური საზოგადოება არ არის განებივრებული სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის ისეთი გამოცემებით, რომლებიც იქნება რეფერირებადი, ჩაერთვება საერთაშორისო მიმოქცევაში, ექნება საკუთარი განახლებადი ვებ-გვერდი და დააკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. ასეთ ვითარებაში ყოველი ახალი სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის ორგანოს დაფუძნება დიდი განსჯის, განხილვისა და საკუთარი ძალების მოსინჯვის საგანია.

ამჟამად ქართულ ეკონომიკურ სივრცეს პრობლემათა რეალური შეცნობა-დიაგნოსტიკა და მათი გადაჭრის ახალი, ხშირად არაორდინალური გზების დასახვა ესაჭიროება. შესაბამისად, ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში ძალზე აქტუალურია ღრმა მეცნიერული ცოდნით გაჯერებული შრომების არსებობა.

გვჯერა, რომ უაღრესად დიდი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე მეცნიერი ეკონომისტებით დაკომპლექტებული ჟურნალის სარედაქციო საბჭო სახელოვნად გაუმკლავდება ურთულეს თანამედროვე გამოწვევებს.

წარმატებების სურვილით,

გიორგი ღავთაძე

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი რექტორი



004680

სარჩევი
CONTENTS

ბილოცვები 6

ინოვაციური ეკონომიკა – INNOVATIVE ECONOMY

ლამარა ქოქიაური, ბადრი გეჩბაია – სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში

Lamara Qoqiauri, Badri Gechbaia – Priority Directions of State Innovative Politics in Georgia..... 14

დავით ქათამაძე – ინოვაციური პროცესების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე
David Katamadze – Impact of Innovative Processes on the Economy Georgia..... 35

პაატა აროშიძე – საქართველოსა და ევროკავშირის ენერგეტიკული თანამშრომლობის ინოვაციური ასპექტები
Paata Aroshidze – Innovative Aspects of Cooperation Between Georgia and the EU in the Energy Sector 41

გულიკო ქათამაძე – ტექნოლოგიური ინოვაციები საქართველოს სამრეწველო ფირმებში
Guliko Katamadze – Technological Innovations of Industrial Firms..... 46

ნატალია ზავგაროდნია, ჟანნა დერეი – უკრაინის კვების მრეწველობის ინოვაციური განვითარება გლობალიზაციის პირობებში
Наталія Завгородня, Жанна Дерей – Інноваційне розвиття харчової промисловості України в умовах нестабільності..... 51

შიმანოვსკაია-დიანიჩ ლუდმილა, ბადრი გეჩბაია – ინოვაცია და ინოვაციური საქმიანობა როგორც საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელი ძალა: ფილოსოფიურ-ეკონომიკური ანალიზი

Шимановская-Дианич Людмила, Гечбаия Бадри – Інновації Інноваційна діяльність як рушійна сила розвитку суспільства і економіки: філософсько-економічний аналіз 59

ლიდია ზლოტნიკოვა – შრომის ფასეულობის მეთოდოლოგიური ასპექტები ინოვაციურ ეკონომიკაში

Лидия Злотникова – Методологічні аспекти цінності праці в інноваційній економіці..... 68

ნანული მახარაძე – ინოვაციების ბაზარი, მისი თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე
Nanuli Makharadze – Market of Innovations and its Features on Modern Stage 77

ლეილა ცეცხლაძე – ინოვაცია – ბიზნესის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი
Leila Tsetskhladze – Innovation – Determining Factor of Business Competitiveness 82

მენეჯმენტი და მარკეტინგი – MANAGEMENT AND MARKETING

გელა მამულაძე – სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი
Gela Mamuladze – Social Responsibility, as a Significant Factor to Improve the Competitiveness Company..... 87

ემზარ ჯულაკიძე – წარმატებული მენეჯმენტის თანამედროვე მოტივატორები
Emzar Julakidze – Modern Motivators of the Successful Management..... 94

მანია გოგიძე, ნინო ლიპარტელიანი – როგორი კორპორაციული ლიდერი იყო და არის ქართველი მენეჯერი?

Mania Gogidze, Nino Liparteliani – What kind of Corporate Leader Was and It Is the Georgian Manager?	100
ვეგენი რომანენკო, ირინა ჩაპლაი – სახელმწიფო ორგანოების მარკეტინგული საქმიანობის საკანონმდებლო საფუძვლები	
Евгений Романенко, Ирина Чаплай – Законодательные основы маркетинговой деятельности органов государственной власти	106

დარბობრივი და რეგიონული ეკონომიკა – SECTORAL AND REGIONAL ECONOMY

ნატალია ვდოვენკო – გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში აგრარული სექტორის ინტეგრაცია სასურსათო უსაფრთხოების ორიენტაციის პირობებში	
Наталия Вдовенко – Интеграция аграрного сектора в глобальное экономическое пространство в условиях ориентации на продовольственную безопасность.....	111
ნიკოლოზ ჩიხლაძე, გოჩა უგულავა – სტრატეგიული დაგეგმვის როლი ადგილობრივი ტერიტორიული განვითარებისათვის	
Nikoloz Chikhladze, Gocha Ugulava – The Role of Strategic Planning in Local Territorial Development.....	121
გულნაზ ერქომაიშვილი – სამედიცინო ველნეს კურორტები - საქართველოს ბრენდ კოდი მსოფლიოში	
Gulnaz Erkomaishvili – Medical Wellness Resorts-Brend Code of Georgia in the World.....	129
გოდერძი შანიძე – ტურისტული ბიზნესი რეგიონის დონეზე აუცილებლად უნდა განვითარდეს	
Goderdzi Shanidze – Tourist Business Should be Definitely Developed at the Level of the Region Too	134
რეზო ჯაბნიძე, ნატო ჯაბნიძე – აგროტურიზმის როლი სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში	
Rezo Jabnide, Nato Jabnide – Placing of Agro Tourism in Georgia and Its Sustainable Development	139
ანა ვერბიტსკაია – ევრო ინტეგრაციის გავლენა უმაღლესი განათლების სახელმწიფო პოლიტიკაზე უკრაინაში	
Anna Verbytska – The Impact of Eurointegration Proces on the State Policy in the Sphere of Higher Education of Ukraine.....	143
ანზორ დევაძე, ნანი გვარიშვილი – ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების შესახებ საქართველოში	
Анзор Девадзе, Нани Гваришвили – О развитии экологического туризма в Грузии	
Anzor Devadze, Nani Gvarishvili – About Development of Ecological Tourism in Georgia.....	152
ეკატერინე გვარიშვილი, ელიტა ხვედელიძე – ტელემედიცინა როგორც სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცესის ეფექტიანობის გაზრდის ინსტრუმენტი	
Ekaterina Gvarishvili, Elita Khvedelidze – Telemedicine as a Tool to Increase the Efficiency of the Diagnostic and Treatment Process.....	157

ფინანსები და საბანკო პოლიტიკა – FINANCE AND BANKING POLICY

ლია ელიავა – საბანკო კრიზისის თავისებურებები რეფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში	
Lia Eliava – Features of Reforming the Banking Cisis Economies	164
დავით ბიძინაშვილი – ონლაინ-სესხები – დადებითი და უარყოფითი მხარეები	
Davit Bidzinashvili – Online Loans – Advantages and Disadvantages	170
მირზა ხიდაშელი – თავისუფალი მონეტარული სისტემის ფუნქციონირების საკითხის გააზრებისათვის	
Mirza Khidasheli – For Better Understanding of Free Monetary System	175

ლენკა დუბოვიცკა, ტატიანა ვარხოლოვა – ფინანსური მაჩვენებლებისა და ლიკვიდურობის ურთიერთკავშირი სლოვაკეთის სამრეწველო ფირმების მაგალითზე LenkaDubovická, Tatiana Varcholová – Relationship Between Performance and Liquidity on an Example of Selected Industries in Slovakia	181
ლუდმილა ადამაიტის – კომერციული ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგება, როგორც ფინანსურ მენეჯმენტში გადაწყვეტილების მიღების საფუძველი Ludmila Adamaytis – Financial Statements of Commercial Organizations as the Basis for Financial Management Decision Making.....	188
ანზორ დევაძე, სულხან დევაძე – უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების პრობლემები საქართველოში Anzor Devadze, Sul Khan Devadze – Foreign Investment Promotion and Usage Issues in Georgia 192	
სერგეი შკარლეთი, მაქსიმ დუბინა – მომსახურების ბაზრის განვითარება ზემოქმედი არაფორმალური ფაქტორების როლის კვლევა ShkarletSerhii, Dubyna Maksim – Research of the Informal Factors Role in the Development of the Financial Services Markets.....	199

სოციალური ეკონომიკა – SOCIAL ECONOMY

იოსებ არჩვაძე – ჩინური „ერთში ერთის“ დასასრული Joseph Archvadze – The End of China’s One-Child Policy.....	209
ირმა ჩხაიძე – საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემის უზრუნველყოფაზე მოქმედი ფაქტორები Irma Chkhaidze – Factors Affecting the Provision of the State Pension System	215
ასიე ცინცაძე, თამარ ლოღობერიძე – ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლი სოციალური რისკების მართვაში AsieTsintsadze, Tamar Ghogheridze – The Role of Business Social Responsibility in Managing the Social Risks	220

რუბრიკა მილოცვები – RUBRIC GREETINGS

პროფესორ რევაზ გოგოხიას 80 წლის იუბილე	225
---	-----

რუბრიკა ახალი წიგნები – RUBRIC NEW BOOKS

ლამარა ქოქიაური – ფინანსები. ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი. წიგნი I. თბ., სტუ. 2014. გვ.1122, წიგნი II. თბ., სტუ. 2014. გვ.972.	226
გულნაზ ერქომაიშვილი – საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები.....	231
ვეენი ბარათაშვილი, მაია ჩეჩელაშვილი, მანანა მარიდაშვილი, თამარ ღამბაშიძე, ირმა მახარაშვილი – შედარებითი მენეჯმენტი და კლასიფიკაცია	232
ვეენი ბარათაშვილი, მანანა მარიდაშვილი, ლაშა ბაგრატიონი, ირმა მახარაშვილი მენეჯმენტი წიგნი I და II.....	233
ვეენი ბარათაშვილი, ლაშა ბაგრატიონი, თეა კვაბზირიძე, ირაკლი გაბისონია, მანანა მარიდაშვილი – სახელმწიფო ინვესტიციების ეკონომიკურ-სამართლებრივი რეგულირება...	234

ინოვაციური ეკონომიკა

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში



ლამარა ჟოქიაური

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

LAMARA QOQIAURI

Doctor of Economics, Professor, Chief Science Colleague of Economic Search of National Institute.

ანოტაცია

შრომში გაშუქებულია სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის საკვანძო საკითხები; სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების სახელმწიფო სტრუქტურა, მათი ჩამოყალიბებისა და განხორციელების ძირითადი პრინციპები, ინოვაციების დაფინანსების რესურსები და მექანიზმები. სტატიაში თანმიმდევრობით არის განხილული სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ინსტრუმენტარიუმი, მისი პრიორიტეტული მიმართულებები.

დღეისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მეცნიერებისა და ინოვაციების განვითარების სფეროში ოპტიმალური სტრატეგიის შენარჩუნება, კერძოდ: მეცნიერული კვლევებისა



ბადრი გეჩბაია

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ჟურნალ „ინოვაციური ეკონომიკა და მართვის“ მთავარი რედაქტორი.

BADRI GECHBAIA

Doctor of Economics, Associate Professor, The Chief Editor of the Magazine «Innovative Science Economy and Management».

და დამუშავებების კონკურენტუნარიანი სექტორისა და მისი გაფართოებული კვლავწარმოებისთვის პირობების შექმნა; ეფექტიანი ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნა; ეკონომიკის მოდერნიზაციის დაჩქარება ტექნოლოგიური ინოვაციების საფუძველზე; იმ სამრეწველო საწარმოების რიცხვის გაორმაგება, რომლებიც ახორციელებენ ტექნოლოგიურ ინოვაციებს.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის ინოვაციური განვითარების უზრუნველყოფისთვის აუცილებელია: კონკურენტუნარიანი „ცოდნის გენერაციის“ სექტორის არსებობა, რომელიც მოიცავს ფუნდამენტურ და გამოყენებითი ხასიათის კვლევებსა და და-

მუშავეებს; ეროვნული ინოვაციური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც ახალი ცოდნის პროდუქტად გარდაქმნის ტექნოლოგიებსა და მომსახურებას, იგი თავის თავში მოიცავს სამეურნეო სუბიექტების, ინოვაციური საქმიანობის ინსტიტუციონალური ბაზის, ინფრასტრუქტურისა და რესურსების ერთიანობას; სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში და სახელმწიფო მართვაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენება, რომელიც შესაძლებელს ხდის, ამაღლდეს შრომის მწარმოებლურობა და მოხდეს მმართველობითი და საწარმოო პროცესების ოპტიმიზაცია.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, ინოვაციური პოლიტიკა, ფუნდამენტური კვლევა, სამეცნიერო-კვლევითი, საკონკურსო დაფინანსება, ვენჩურული კაპიტალი.

PRIORITY DIRECTIONS OF STATE INNOVATIVE POLITICS IN GEORGIA

Abstract

The work highlights key points of state innovative politics; state structure of social – economical and scientific-technical development, the main principals of the formation and completion, the resources and mechanisms of funding of inovations. In the article you are able to find out the instrumentarium of innovative politics, its priority directions.

Nowadays we consider elaboration of optimal strategy in science and innovative development important that is; To create conditions for rivalry sector of scientific research and process and for its broadening reproduction; To create effective national innovative system; To hasten modernization of economics on the basis of technological innovation. To double the number of those enterprises that carry out technological innovations.

Thus, for innovative development of our country it's essential the existance of a sector of "Knowledge generation" that includes fundamental and practical research effective functionality of national innovative system that transforms new Knowledge into product of technologies and services. It includes unity of economic subjects, innovative institutional business, infrastructure and resources; wide usage of informative – communicative technologies that enables to grow up Labor productivity and optimization of industrial processes.

Key words: *Innovations, Innovative Politics, Fundamental Research, Scientific Research, Funding for Contest, Ventural Capital;*

შესავალი

ყველა ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პერსპექტიული განვითარების პოლიტიკის საფუძვლები თავის თავში მოიცავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, მის მიზნებს, ამოცანებსა და მათი რეალიზაციის გზებს, ასევე სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის მასტიმულირებელ ეკონომიკურ და სხვა ღონისძიებათა სისტემას.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში, სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლების რეალიზაციის მექანიზმების სისტემაში დიდი ყურადღება ექცევა საპროგნოზო კვლევების ჩატარების აუცილებლობას, დასაბუთებას, სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური მიმართულებების პერსპექტივების განსაზღვრას, სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების შედეგების შეფასებას.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური სფეროს განვითარების პროგნოზების შემუშავებისთვის მდიდარი ინფორმაციული ბაზა და ძირითადი პრინციპები მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდში, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური განვითარების პროგნოზირების სახელმწიფო სისტემის სტრუქტურა და მისი ელემენტების ძირითადი ფუნქციები, სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს განვითარების კომბინირებული პროგნოზების მაჩვენებელთა მათემატიკურ-სტატისტიკური აპარატი და სხვ.

შრომში ჩვენი მიზანია და ამდენად ყურადღება გავამახვილეთ სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური სფეროს განვითარების პროგნოზული გათვლების ჩატარებისთვის საჭირო ინფორმაციულ ბაზაზე; სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის სტრუქტურაზე და მის მდგენელებზე, კერძოდ: ქვეყნის ინოვაციურ პოლიტიკაზე, სტრუქტურულ პოლიტიკასა და ინსტიტუციონალურ პოლიტიკაზე.

საერთოდ, ინოვაციებზე, ინოვაციურ პროცესებზე, ინოვაციურ საქმიანობაზე, ინოვაციურ პოლიტიკასა და მისი შემუშავების მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე, დღეს ბევრს წერენ: გამოქვეყნებულია საყურადღებო მეცნიერული

შრომები: აბრალავა ა., (2009); ძამუკაშვილი დ., (2000); ჩიქავა ლ., (2006); ქოქიაური ლ., ქოქიაური ნ., (2015); დრუკერი პ.ფ., (2009); კემბელი კ., (2008); ბრუკინგი ა., (1997); ბრომბერგი გ.ვ., (2002); შუმპეტერი ი., (1982); დემერილი პ., (1994); ჯონსონი დ., (1998); სახტო ბ., (1990) და ა.შ.

XXI საუკუნეა და ქვეყნის თანამდროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ამოცანაა მისი ინოვაციურ ტრანსფორმაციაზე გასვლა, პოსტინდუსტრიული ინფორმაციული ეპოქისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური ზრდის პრინციპულად ახალი ფაქტორების მაქსიმალურად გამოყენება. ეს ამოცანა ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე საქართველოსთვის, სადაც ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლის აუცილებლობა მოითხოვს ინოვაციური საქმიანობის მძლავრ აქტივიზაციას, პირველ რიგში სამეურნეო სუბიექტების, საწარმოს დონეზე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების საინვესტიციო და სხვა პირობებს. ეს ეროვნული მეურნეობის რეორგანიზაციის შესაძლებლობას იძლევა. მეცნიერებატევად წარმოების საფუძველზე შესაძლებელი ხდება საქართველოს დიდი და ტრადიციულად მზარდი ჩამორჩენის დაძლევა (მეურნეობრიობის სხვადასხვა სფეროში მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით).

თანამედროვე პირობებში ჩვენი ქვეყანა საკმაოდ დონის სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს ფლობს, თუმცა ეკონომიკური კრიზისის გამო გარდამავალი პერიოდის პირობებში ქვეყანა მნიშვნელოვნად ჩამორჩა წარმოების ინოვაციური განვითარების მსოფლიო დონეს. ამასთან დაკავშირებით ხელახლა გააზრებას საჭიროებს როგორც წარმოების ინოვაციური განვითარების დამახასიათებლად საჭირო ტერმინები და კატეგორიები, ასევე წარმოების ინოვაციური განვითარების ეფექტიანობის ანალიზის მეთოდოლოგია.

ამასთან, მეურნეობრიობის ეფექტიანობაზე ზემოქმედების ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა განაპირობებს წარმოების მართვის ახალი მექანიზმების ფორმირების აუცილებლობას, როგორც მთლიანად, ასევე ინოვაციური განვითარების მიმართ.

შემდგომ კვლევებს მოითხოვს ასევე ინოვაციების და ინტელექტუალური კაპიტალის შეფასების პრობლემები, მათი ზემოქმედება წარმოების საბოლოო სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე, რომლებიც სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებისა და

ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო ორიენტაციის გაძლიერების შედეგად ახლის შექმნისა და არსებული სამრეწველო და სასოფლო საწარმოების ტექნიკური გადაიარაღების რესურსული უზრუნველყოფის დომინირებადი წყარო უნდა გახდეს.

სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური სფეროს განვითარების პროგნოზული გათვლების ჩატარებისთვის საჭირო ინფორმაციული ბაზა.

სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური განვითარების სახელმწიფო პროგნოზირების სისტემაში პროგნოზირების ობიექტად აღებულია ის მაჩვენებლები, რომლებიც შედის სამეცნიერო და ინოვაციურ სფეროზე სახელმწიფო სტატისტიკური დაკვირვების ოფიციალურ ფორმებში. ამ ფორმებს ავრცელებს და აგროვებს ქვეყნის სახელმწიფო სტატისტიკის სამსახური.

სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის მეთოდური მითითებების მიხედვით, სტატისტიკური ინფორმაცია სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში ყალიბდება სამეცნიერო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, საპროექტო და საპროექტო-საძიებო ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოების ყოველწლიური სტატისტიკური კვლევების საფუძველზე.

სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების სფეროში ჩამოყალიბებული მაჩვენებელთა სისტემა სრულყოფილად უნდა ასახავდეს: სამეცნიერო სფეროს ორგანიზაციულ სტრუქტურას; სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების, ასევე სამეცნიერო კადრების მომზადების სფეროში სამუშაოების შემსრულებელი პერსონალის რიცხოვნობას, შემადგენლობასა და მოძრაობას; სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების დაფინანსებას, მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, კვლევებისა და დამუშავების შედეგადად და ა.შ.

სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს განვითარების პროგნოზების შედგენისთვის ინფორმაციის სხვა წყაროებიდან მნიშვნელოვანია მეცნიერებათა აკადემიისა და მისი განყოფილებების ანგარიშგებები, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზული შეფასებები, სხვადასხვა სამინისტროების, მ.შ. მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მონაცემთა ბაზები დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შესახებ; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის კვლევითი ცენტრისა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის კრებულების სტატისტიკური მონაცემები, საპროგნოზო მაჩვენებლების დინამიკის საექსპერტო შეფასებები; უცხოეთის საპროგნოზო-ანალიტიკური მასალები.

ზემოთ ჩამოთვლილი სტატისტიკური ანგარიშების ფორმებისა და მონაცემთა ბაზების გარდა პროგნოზული გათვლების დროს გამოიყენება პერიოდული პრესის მონაცემები, რომლებიც ეხება მეცნიერული კვლევებისა და დამუშავების დაფინანსებას; მრეწველობის, შრომისა და ხელფასის სტატისტიკური მონაცემები და ა.შ. ასევე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამთავრობო პროგრამები, ოპერატიული (ყოველთვიური) სტატისტიკის მონაცემები, მოკლევადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზები და სხვა აუცილებელი მონაცემები.

მრეწველობის დარგების ინოვაციური განვითარების შედეგებს ახასიათებს შემდეგი სტატისტიკური მაჩვენებლები:

- სამამულო გამოგონებებზე და აღმოჩენებზე გაცემული პატენტები სამრეწველო ტექნოლოგიებისა და ინოვაციური სამრეწველო პროდუქციის სფეროში; სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების შედეგების გამოყენებაზე გაცემული ლიცენზიები (პატენტები გამოგონებებზე და აღმოჩენებზე, ნოუ-ჰაუ) სამრეწველო წარმოებაში;

ახალი ტიპის მანქანების, მოწყობილობებისა და აპარატურის ნიმუშების ათვისება;

დანახარჯები ტექნოლოგიურ ინოვაციებზე; გაგზავნილი (გადატვირთული) ინოვაციური პროდუქციის ოდენობა და მისი ხვედრითი წილი გაგზავნილი (გადატვირთული) პროდუქციის საერთო მოცულობაში.

ზოგიერთ ქვეყანაში, გარდა ზემოთ დასახელებულისა, ანგარიშებაში ინოვაციების შესახებ ასახულია:

დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი სამრეწველო საწარმოები;

სათაო საწარმოს ადგილმდებარეობის ტერიტორიაზე განლაგებული სამეცნიერო-საწარმოო, საწარმოო გაერთიანებები;

სხვა ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოო ერთეულები.

ინოვაციური პროდუქციის მოცულობის შესახებ მონაცემების წყაროა აგრეთვე სტატისტიკური ანგარიშგების კვარტალური ფორმა. საწარმოთა ინოვაციური აქტივობის შეფასების ინფორმაციული მაჩვენებელია გაგზავნილი

(გადატვირთული) ინოვაციური პროდუქციის მაჩვენებელი და წარმოებული მაჩვენებელი – ინოვაციური პროდუქციის ხვედრითი წილი გაგზავნილი (გადატვირთული) პროდუქციის საერთო მოცულობაში.

მრეწველობის ინოვაციური განვითარების პროგნოზების შედგენისთვის სხვა მნიშვნელოვანი ხასიათის ინფორმაციული წყაროა მრეწველობისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემთა ბაზა. იგი შეიცავს ინფორმაციას სამრეწველო საწარმოთა თანამედროვე პროგრესული (რესურსდამზოგი) ტექნოლოგიების შესახებ, ასევე საკონკურსო შერჩევის საფუძველზე მიღებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების პროექტებისა და ინოვაციური პროექტების პირობების შესახებ. მასში მითითებულია მონაცემები ინოვაციების განხორციელების ეტაპების, დასრულების და ამ დამუშავებების შემდგომი ეფექტიანობის შესახებ.

ეკონომიკური ცნებები: „სიახლეების ორგანიზაცია და მართვა“; „ინოვაციური პროცესი“; „ინოვაციური საქმიანობა“ – ურთიერთგანმსაზღვრელი და ურთიერთგანმაპირობებელი ცნებებია. მათ განხორციელებაზე გავლენას ახდენს ქვეყანაში გატარებული სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა. ამ ცნებებს შორის ურთიერთკავშირი ვლინდება იმაში, რომ მეცნიერული სიახლეების შექმნასა და რეალიზაციაზე გავლენა ძალისხმევა, მრავალდონიანი მიმართულებისაა. აღნიშნული ცნებების ურთიერთგანპირობებულობა დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ ინსტრუმენტარიუმზე, რომელიც ურთიერთხემოქმედებს სტადიის ციკლზე მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება. სახელმწიფოს ინოვაციური განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია შედგება სხვადასხვა სახის კონცეფციებისგან, რომლებიც წარმოადგენენ ინსტრუმენტების (ღონისძიებების) ნაკრებს. ისინი გავლენას ახდენენ ინოვაციური სფეროს განვითარებასა და ფუნქციონირებაზე. სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტები შეიძლება იყოს: სამეცნიერო-ტექნიკური, სტრუქტურული, ინსტიტუციონალური, ინოვაციური და ა.შ. პოლიტიკა.

სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე გავლენას ახდენს ხელისუფლების მიერ დასახული მიზნები და ჩვენი აზრით, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა ამ მიზ-

ნის მიღწევის საშუალებაა. ძირითადი მიზანი ინოვაციის სფეროში არის ეკონომიკაში დადებითი ძვრების უზრუნველყოფა მშპ-ს ზრდის ხარჯზე და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება საზოგადოების წევრებისთვის.

სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა (შემდგომში – სახელმწიფო პოლიტიკა) – ეს არის ორგანიზაციული, მმართველობითი, სამართლებრივი, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებები, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო ციკლის – „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“, სტადიების ხელმძღვანელობისას ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მიზნით, მთელი საზოგადოების, მისი სოციალური ჯგუფებისა და ცალკეულ პიროვნებათა ინტერესების გამოხატვის გზით.

სახელმწიფო პოლიტიკის სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იქნას კრისტალის სახით, რომლის ბირთვი და წიბოები გამოხატავენ მართვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედების ყველა მხარეს, ქვეყანაში ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნის მიზნით (ნახ. 1).

თანამედროვე პირობებში სიახლეები იჭრებიან ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში, ხოლო სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფო რეგულირების (ღონისძიებების) სხვა მდგენელებთან (წრის დამტრისხული სემენტები): სამეცნიერო-ტექნიკურ, სტრუქტურულ და ინსტიტუციონალურ პოლიტიკასთან,

რომლებიც გააქვნიან ახდენენ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე.


ინოვაციური პოლიტიკა, თავის მხრივ, მჭიდროდაა დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა პოლიტიკასთან, მეცნიერებისა და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების რეგულირების ჩათვლით.

ინვესტიციების სტიმულირებაზე მიმართული სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა, ერთდროულად ასტიმულირებს როგორც ინოვაციებს მათი მატერიალიზაციის გზით, ასევე მათ ფინანსურ შედეგებს. სხვა სიტყვებით, იგი ხელს უწყობს განათლებისა და მეცნიერების განვითარებას, ახალი ცოდნის მიღებას და ტექნიკური და ტექნოლოგიური ინოვაციების შექმნას.

სტრუქტურული პოლიტიკა ხსნის ინოვაციების სტიმულირების შესაძლო გზებს მაღალტექნოლოგიური დარგების მხარდაჭერის, ტრადიციული დარგების ახალტექნოლოგიურ ბაზაზე განვითარების გზით.

ინსტიტუციონალური პოლიტიკა განსაზღვრავს ინოვაციური პროცესების სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეს, ე.ი. სამეურნეო სუბიექტების საქმიანობას და ურთიერთობას მათ შორის.

ცნობილია, რომ თანამედროვე პირობებში ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და ხალხის კეთილდღეობა ბევრადაა დამოკიდებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებაზე, სიახლეების მოქმედი სისტემის ფუნქციონირებაზე. სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის არსებობა ქვეყანაში – ეს არის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა სამეცნიერო-ტექნიკური



ნახ. 1. სოციალ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის სტრუქტურა

სადაც:

- 1 – ინოვაციური პროცესი.
- 1, 2, 3, 4 – ინოვაციური პოლიტიკა.
- 5 და 2; 6 და 3; 7 და 4; – სამეცნიერო-ტექნიკური, სტრუქტურული და ინსტიტუციონალური პოლიტიკა.
- 2, 3, 4 – ინოვაციური პოლიტიკის ურთიერთკავშირი სამეცნიერო-ტექნიკურ, სტრუქტურულ და ინსტიტუციონალურ პოლიტიკასთან;
- 8, 9, 10 – ინოვაციური საქმიანობის განხორციელების მიმართულებები.

პროგრესის მიღწევების წარმატებით ათვისებისთვის ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით, სასაქონლო პროდუქციის წინ წაწევისთვის გასაღების ბაზარზე, მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისთვის, ახლად შექმნილი ღირებულების გადიდებისთვის (მთლიანი შიდა პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი) და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის. საჭიროა მიღწეული იქნეს სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო და საკადრო პოტენციალის გამოყენება საჭირო და სწორი მიმართულებით და მინიმალური დანახარჯების პირობებში მაქსიმალური უკუგების მიღება.

ცხადია, რომ დასაბუთებული პოლიტიკის გამოყენება (სამეცნიერო-ტექნიკური, სტრუქტურული, ინოვაციური, ინსტიტუციონალური) გააუმჯობესებს ახდენს ინოვაციური საწარმოების განვითარების ღონეზე და მათი პერსონალის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე, შესაბამისად, მთელ საზოგადოებაზე.

ნებისმიერი ქვეყნის მ.შ. საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის მთავარი სუბიექტებია სამეცნიერო-კვლევებში და დამუშავებებში დაკავებული მეცნიერები და სპეციალისტები. ზოგადად, მათი საქმიანობა ხორციელდება შემდეგი მიმართულებით:

– **კვლევების ორგანიზაციის პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდების სრულყოფა და მათი შედეგების ათვისება წარმოებაში.** თანამედროვე პირობებში სხვადასხვა მეცნიერული მიმართულებით საქართველოში სრულდება XX სახელმწიფო პროგრამა. მათი ჩამონათვალი დამტკიცებულია მთავრობის მიერ და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

– **სამრეწველო საკუთრების ობიექტზე უფლებათა დაცვის სისტემის სრულყოფა და განვითარება.** ეკონომიკის ინოვაციური განვითარება გულისხმობს მეცნიერების მხრიდან შემოთავაზებული სიახლეების არსებობას, წარმოების მიერ მათ შერჩევას ეფექტიანობისა და გამოყენების შესაძლებლობების პოზიციებიდან, ასევე მონოპოლიის დროებით აღებას ინოვაციებზე, მათი ავტორებისთვის გარანტირებული დამატებითი მოგების მიღების მიზნით. ეს უკანასკნელი შესაძლებელია მაშინ, როცა სიახლეებზე უფლება კანონმდებლობითაა დაცული;

– **ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაცია.** ძირითადი ამოცანა ამ მიმართულებით არის ეროვნული ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინოვაციური პროცესი – მეცნიერული იდეებიდან

დაწყებული და ინოვაციური პროდუქტის შექმნისა და მომხმარებელამდე მათი დაყვანით დამთავრებული.

ქვეყანაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჯერ ერთი, გატარდეს სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა ტექნოლოგიების ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის. მეორეც, ეს არის ერთ-ერთი გზა სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს რეფორმირებისთვის, რაც შესაძლებელს ხდის ქვეყანა აიყვანოს ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ დონეზე. ამისათვის საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს ინოვაციური სფეროს ყველა აუცილებელი ორგანიზაციული ფორმა: მცირე საწარმოები, ინკუბატორები, ტექნოპარკები და შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა.

ქვეყანაში გატარებული სახელმწიფო პოლიტიკა შესაძლებელს გახდის გადაიჭრას შემდეგი ამოცანები (პრობლემები):

- ეროვნული მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება როგორც შიდა, ასევე საგარეო ბაზრებზე;
- წარმოების ფაქტორების რაციონალური გამოყენება;
- წარმოების ადაპტაცია სტრუქტურულ და ციკლურ კრიზისებთან;
- მეცნიერებისა და განათლების განვითარება;
- გარემოს დაცვა;
- ხალხის კეთილდღეობის ზრდა და ა.შ.

ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრა უნდა განხორციელდეს ინსტრუმენტების (დონისძიებების) ნაკრების პირდაპირი, ირიბი და სინთეზური ზემოქმედების საშუალებით ციკლის „მეცნიერება–ტექნიკა–წარმოება“ სტადიაზე.

ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების პირდაპირ დონისძიებებს მიეკუთვნება სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების საბიუჯეტო (სახელმწიფო) დაფინანსება, სახელმწიფო შეკვეთები, ზოგიერთი სახის სამრეწველო პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა და სხვა.

ირიბი დონისძიებები (მწვობრი სტაბილიზატორები) აიძულებენ ინოვაციურ საწარმოს და ქვეყნის ეკონომიკას, მთლიანად იმუშაოს თვითრეგულირების რეჟიმში. მათ მიეკუთვნებიან, მაგალითად: ინვესტიციების საგადასახადო სტიმულირება კვლევებსა და დამუშავებებში (ნოვაციები), საამორტიზაციო შეღავათები, სამეცნიერო-ტექნიკური კოპერაციის განვითარება და ა.შ.

საპატენტო-სალიცენზიო რეგულირება, ჩვენი აზრით, უნდა მივაკუთვნოთ სინთეზურ (შერეული) დონის ძიებებს. ჯერ ერთი, ესაა პირდაპირი ზემოქმედება ეკონომიკაზე. პრაგმატული მიდგომის გათვალისწინებით, თავისდროულად შემუშავებული და საკანონმდებლო გზით მიღებული ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა იცავს საქონელმწარმოებელს ინოვაციების შექმნისა და გამოყენების გარე ხელყოფისგან, ხელს უშლის მათ დიფუზიას. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს დამატებით სარგებელს როგორც ინვესტორისთვის, ასევე ინოვაციისთვის და შემდგომში განაპირობებს ქვეყნის შშპ-ს და სხვა აგრეგირებული მაჩვენებლების გადიდებას.

მეორეც, იგი რეგულირების ირიბი ინსტრუმენტია. საპატენტო-სალიცენზიო რეგულირება გარკვეულწილად შეიძლება გამოვიდეს სხვა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორად, რამდენადაც ტექნიკური გადაწყვეტილებები არის პატენტის მფლობელის საკუთრება, მას უფლება აქვს, გადაწყვიტოს მისი გავრცელების შესაძლებლობები საგარეო ბაზრებზე. მოცემულ შემთხვევაში, ქვეყანა, როგორც ლიდერი, რომელიმე ინოვაციურ მიმართულებასთან მიმართებაში შეიძლება აღწევდეს უპირატესობას და დებულობდეს დამატებით სარგებელს.

საპატენტო-სალიცენზიო რეგულირება შეიძლება ირიბ ზეგავლენას ახდენდეს ტექნიკური სიახლის შექმნელი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, რომელიც დაცულია პატენტით. იგი შეიძლება გახდეს შემაფერხებელი ფაქტორი დამატებითი სარგებლის მიღების საქმეში საწარმოსთვის, რომელიც აწარმოებს ანალოგიურ საქონელს. ეს მოვლენა განსაკუთრებით ფიქსირდება სამხედრო-თავდაცვითი კომპლექსის საწარმოებში, რომლებიც ხშირად მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ტენდენციების შესაბამისი ანალიზის გარეშე ახანგრძლივებენ გამოგონების საიდუმლოების ვადას.

ამრიგად, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა გამოხატავს დამოკიდებულებას სახელმწიფოსა და საინოვაციო საქმიანობას შორის, განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მუშაობის მიზანს, მიმართულებებსა და ფორმებს ინოვაციის სფეროში და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვას წარმოებაში.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა და მისი პრიორიტეტული მიმართულებები

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ქვეყანა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზას, შეიმუშავებს და ეფექტიანად იყენებს სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკას.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა არის სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ინოვაციურ საქმიანობასთან, განსაზღვრავს ციკლის – „მეცნიერება–ტექნიკა–წარმოება“ – მოვლენებთან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მიზნებს, მიმართულებებს, საქმიანობის ფორმებს.

ჩვენი მოსაზრებით, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მიზნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- ტექნოლოგიური დონისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება ეკონომიკური დოვლათის წარმოებაში;
- ინოვაციური პროდუქციის გასვლის უზრუნველყოფა გასაღების შიდა და გარე ბაზრებზე;
- შიდა ბაზარზე იმპორტული პროდუქციის ჩანაცვლება სამამულო პროდუქციით და ამის საფუძველზე სამრეწველო წარმოების გადაყვანა მდგრადი ეკონომიკური ზრდის სტადიაზე;
- ინოვაციური საქმიანობისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოვება; სახელმწიფო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება;
- ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული პირობების შექმნა ინოვაციური გარემოსთვის.

ინოვაციური საქმიანობის განხორციელების გარემო, ეროვნული ინოვაციური სისტემა, რომელიც მოიცავს რიგ სუბმენტებს (ნახ. 2). ინოვაციური საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, ანუ სამართლებრივი სივრცის სპეციალური სუბმენტი, რომელიც არეგულირებს ინოვაციურ პროცესებს. ინოვაციური ინფრასტრუქტურა, რომელიც თავის თავში მოიცავს: ინოვაციურ ცენტრებსა და ტექნოპარკებს, ვენჩურულ და სადაზღვევო ფონდებს, განსაკუთრებულ საწარმოებსა და სამეცნიერო-საწარმოო ცენტრებს. კადრების მომზადების სისტემა ინოვაციური საქმიანობისთვის, რომელიც მოიცავს უმაღლესი სასწავლებლებისა და აკადემიური მეცნიერების, კადრების მომზადებისა და გადამზადების ცენ-

ტრებს და ა.შ. სახელმწიფო მხარდაჭერის და მნიშვნელოვანი (პრიორიტეტული) სამეცნიერო მიმართულებების დაფინანსების სისტემებს (მექანიზმს). საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სეგმენტი, რომელიც ახასიათებს გამოძგონებლის, სიახლეების ექსპორტისა და იმპორტის, ცოდნის საერთაშორისო ბაზარზე გადახდების ბალანსის განვითარების დონეს. სხვა სიტყვებით, ინოვაციური სისტემის ეს სეგმენტი ასახავს მის შედეგიანობას, ასე მაგ.: დარგისტრიუბული პატენტები ასახავენ კვლევითი ძალისხმევის როგორც შედეგებს, ასევე პოტენციალს ეკონომიკური ზრდის მიზნით ცოდნის შემდგომი გამოყენებისთვის. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყნები, რომლებიც ლიდრობენ მშპ-ს მეცნიერებატეკვადობით, არის: შვეცია, ფინეთი, აშშ, გერმანია. მათ აქვთ პატენტების ყველაზე მეტი წილი 1 მლნ. მოსახლეზე. ის ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევიან მშპ-ს მეცნიერებატეკვადობის დაბალი დონით (პორტუგალია, საბერძნეთი, ესპანეთი), აქვთ უმნიშვნელო შედეგები სამრეწველო საკუთრების ობიექტების დაპატენტებაში (3-დან 20 პატენტი 1 მლნ. მოსახლეზე).

საქართველოს შეუძლია, ინოვაციური პოლიტიკის არსებულ მოდელს შორის აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი ვარიანტი, რომლის მეშვეობითაც იგი შეძლებს საკუთარი ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის გარდაქმნას ინოვაციების ათვისების მეშვეობით. საზღვარგარეთის ქვეყნებში განვითარებული ინოვაციური პროცესებისა და საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ჩვენ მიერ წარმოებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჩვენი ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ჩამოყალიბებას, თავისუფალი კონკურენციის

პირობებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, შესაბამისი სტანდარტების დამუშავებას, მათი დაცვისა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის კონტროლს. ის ხელს უნდა უწყობდეს მეცნიერებასა და მრეწველობას შორის კავშირების განმტკიცებას, უზრუნველყოფდეს ფირმებს სარისკო კაპიტალით და ინოვაციების ბაზრის შესახებ ინფორმაციით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან საქართველოში ინოვაციური პროცესების განვითარებას. ნაშრომის ბოლოს მოცემულია ის რეკომენდაციები, რომელთა გატარებაც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ინოვაციური პოლიტიკის სწორად წარმართვას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური პროცესები, ინოვაციური პოლიტიკა, ტექნიკური კულტურა, ტექნოლოგიური მწარმოებლურობა, ოპერაციული კვალიფიკაცია, სახელოვნო კვალიფიკაცია, სამრეწველო ინოვაცია, ინდუსტრიის დივერსიფიცირება.

IMPACT OF INNOVATIVE PROCESSES ON THE ECONOMY GEORGIA

Abstract

At the present stage of the country by using innovative policy three-traditional, implicit and explicit model. Mastering the traditional model of innovation is associated with a relatively narrow solution: industry and research programs through special connections. Implicit model innovation of aspiration followed by all government agencies to operate. It is not “visible” to the point that has to do with the state of the industry in the development of appropriate intervention.

Innovative politics of the models can choose between a favorable option, through which it will be able to transform its economic and social infrastructure through the utilization of innovations. Foreign countries developed innovative processes in Georgia and the current situation in our research we have shown that our country's innovation politics should be based on the relevant legal regulation mechanism, free competition conditions and intellectual property protection, the standards process, their protection and industrial production quality control. It should contribute to the strengthening of ties between science and industry, venture capital firms that provide services and information about innovations market. The research identified the problems that hinder the development of innovative process in Georgia. At the end of the paper's recommendations, the implementation of which will help our country to conduct innovative politics.

Key words: *Innovative processes, innovative policy, technical culture, technological productivity, operating skills, craft skills, industrial innovation, industry diversification.*

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში ინოვაციების სფეროში დაგროვილი უახლესი მიღწევების ათვისებით განსაკუთრებით დაინტერესებულნი არიან განვითარებადი ქვეყნები, რომელთაც სურთ, ერთის მხრივ, უკეთ გამოიყენონ მათ მფლობელობაში არსებული აქტივები, მეორე მხრივ კი, ისწრაფვიან ინდუსტრიალიზაციის სფეროში საზღვარგარეთ დაგროვილი ინოვაციების, ცოდნისა და გამოცდილების ათვისებისკენ.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მათ განხორციელონ შესაბამისი ინოვაციური პოლიტიკა. განვითარებადი ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ორ პრინციპს: 1. ეკონომიკის ინოვაციებით უზრუნველყოფას; და 2. სახელმწიფოს მხრიდან მრეწველობის საქსპორტო პოტენციალის განვითარების აქტიურ ხელშეწყობას.

ნაშრომის კვლევის მიზანია ვაჩვენოთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინოვაციური პოლიტიკის სწორად წარმართვა საქართველოს ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლების თვალსაზრისით. სტატიის კვლევის ამოცანაა ვაჩვენოთ, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის სწრაფი განვითარების ერთადერთი გზაა არა საკუთარი ინოვაციური პროცესების დამუშავება (რაც ძალზე შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია), არამედ საზღვარგარეთ აპრობირებული ინოვაციური პროცესებისა და ტექნოლოგიების გადმოტანა (რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დროისა და მატერიალურ-ფინანსურ დანაკარგებს). კვლევის ორიგინალობა მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომში გამოვლენილია ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ინოვაციური პროცესების სწორი მენეჯმენტის შედეგად საქართველოს ეკონომიკაზე დადებითი ეფექტის მაქსიმალურ ამოქმედებას. ავტორის წვლილი ამ სფეროში გამოიხატება იმ პრობლემების კვლევაში, რაც ხელს უშლის ინოვაციური პოლიტიკის წარმართვის ბერკეტების დროულ და რაციონალურ გამოყენებას. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა უცხოური ქვეყნების ინოვაციური პროცესების შესახებ მონაცემთა თავმოყრის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, აგრეთვე საქართველოს ინოვაციურ პროცესებზე დაკვირვების, შედარებისა და ანალოგიის გატარების მეთოდები.

საქართველოში ინოვაციური პროცესების განვითარების კომპლექსური შეფასებისთვის საჭიროა, განვიხილოთ ერთ დროს ჩამორჩენილი და სწორი ინოვაციური პოლიტიკის გატარების შედეგად დღეისთვის წარმატებული განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება ინოვაციური პროცესების განვითარების სფეროში. განვითარებადმა ქვეყნებმა, რომლებიც ინოვაციური „ბრძოლის წინა ხაზზე“ არ იმყოფებიან, ადგილობრივი ინდუსტრიის მწარმოებლობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება შეიძლება სცადონ საკუთარი კვლევის გაფართოებისა და ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შექმნის გზით, მაგრამ მათი

ეკონომიკის განვითარების ასეთი სტრატეგიის არჩევა ბევრად უფრო ხანგრძლივი და რთულია. ვიდრე უკვე არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება. ამასთან, განვითარებად ქვეყნებში არსებობდა ინოვაციების ინტენსიურად ათვისების შესაძლებლობები, ხოლო ინოვაციური პროცესების განვითარების პოტენციალი კი, შესაბამისად, არსებობდა მრეწველობაში.

განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე ინოვაციური პროცესები მოიცავს ადგილობრივი მეწარმეების მიერ ახალი ინოვაციების ან სამუშაო პრაქტიკის ათვისებას, მიუხედავად იმისა, დამოუკიდებლად იგი შემუშავებული თუ შექმნილია ტრანსფერის მეშვეობით. ამ პროცესს შედეგად მოჰყვა ხელმისაწვდომი ინოვაციების ადაპტირების მეშვეობით პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ადგილობრივ ინდუსტრიაში პროგრესული მიღწევების გამოყენების საფუძველზე ახალი დარგების შექმნა, დამოუკიდებლად განვითარებული ინოვაციების სამეწარმეო ათვისების შედეგად სახელმწიფოს მიერ გლობალური კონკურენტუნარიანობის შექმნა.

განვითარებადი ქვეყნების მიერ ინოვაციების განვითარებასთან დაკავშირებული ამოცანების რეალიზაცია მოითხოვს შესაბამისი ტექნიკური კულტურის დამკვიდრებას, მეწარმეობის მასტიმულირებელი ინიციატივების ხელშეწყობას. ამ შემთხვევაში სულაც არ არის აუცილებელი, განვითარებადი ქვეყანა ბრძალ მისდევდეს ინდუსტრიული ქვეყნების პრაქტიკიდან აღებულ მოდელს, რომლის მიხედვითაც ინოვაცია იწყება და ვითარდება ორიგინალური კვლევებიდან. სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ჩატარება და მათ საფუძველზე ტექნოლოგიების განვითარება შეუძლიათ მხოლოდ მრეწველობით განვითარებულ ქვეყნებს.

იმისთვის, რომ ინოვაციური პროცესები დაინერგოს განვითარებად ქვეყნებში, საჭიროა, მათ აქ დახედეს სათანადო ტექნიკური გარემო. ამით დაბალშემოსავლიან ქვეყნებს შესაძლებლობა ეძლევათ, სხვების ინდუსტრიული მიღწევების ათვისებით მიაღწიონ სამრეწველო ინოვაციების თანდათანობით ჩანაცვლებას და გაუმჯობესებას, როგორც მიკრო-, ასევე მაკროდონეებზე [1. გვ.-84]. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ტექნიკური კულტურისა და განათლების როლი, რადგანაც სწორედ ისინი განსაზღვრავენ ინოვაციური პროცესების მიმართ კომპანიების მგრძობიანობას, ქმნიან გლობალურ ცოდ-

ნასთან მიერთების, სტრატეგიულ ალიანსებში, ერთობლივ კვლევებში, საკომუნიკაციო და სხვა სახის ქსელებში მონაწილეობის შესაძლებლობას.

სამრეწველო ფირმები ინოვაციური პროცესების მწარმოებლურობის „აკრეფას“ იწყებენ ოპერაციული და სახელობო კვალიფიკაციის შექმნიდან. შემდგომ სტადიაზე ისინი უკვე დამოუკიდებლად აპროექტებენ და ამუშავებენ ნაწარმს. სამრეწველო ინოვაციების შექმნისთვის კვლევა მათში უფრო გვიან იწყება, მაშინ, როდესაც დაგროვდება ამისთვის აუცილებელი ინტელექტუალური და ფინანსური კაპიტალი.

თანამედროვე მსოფლიოში მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეუწყო ხელი ოდესღაც ეკონომიკურად ჩამორჩენილი მცირე ქვეყნების სწრაფ განვითარებას სწორად დაგეგმილმა, სათანადოდ რეალიზებულმა ინოვაციურმა პოლიტიკამ. საილუსტრაციოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს მავრიკიის, ჰონგ-კონგის, თურქეთის, ტაილანდის, მალაიზიისა და ფინეთის მაგალითი.

მავრიკიამ, ამ პატარა და ოდესღაც უღარიბესმა ქვეყანამ, მოკლე პერიოდში 1984 წლიდან, 10 წლის განმავლობაში შეძლო, გაეორმაგებინა შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, რომელმაც 1995 წელს 2.200 დოლარს გადააჭარბა, რაც იმ დროისთვის განვითარებადი ქვეყნების იშვიათი მიღწევა იყო. თუ 1983 წელს აქ უმუშევრობის დონე იყო 20%, 1988 წელს ეს მაჩვენებელი 4%-მდე დაეცა. ყოველივე ეს მიღწეული იქნა მავრიკიის მიერ მრავალ სფეროში წარმატებით გატარებული რეფორმების შედეგად. 1984 წელს ამ ქვეყნის მთავრობამ მკვეთრად შეამცირა საგადასახადო განაკვეთები, მოხსნა კვლევითი იმპორტზე და დააარსა ე.წ. საექსპორტო წარმოების ზონები, რომლებშიც ექსპორტისთვის განკუთვნილი პროდუქცია იწარმოება ზედმეტი ბიუროკრატიული შეზღუდვების, საქონლისა და კაპიტალის იმპორტისთვის ხელის შეშლის გარეშე. შედეგად, მრავალმა აზიურმა კომპანიამ მავრიკიაში დააარსა საკუთარი ოფისორული საწარმოები. ეს პროცესი ჯერ გადამამუშავებელ მრეწველობაში დაიწყო და მავრიკია შალის ექსპორტის მიხედვით მესამე ადგილზე გავიდა მსოფლიოში. ამჟამად, მან თითქმის შეწყვიტა ქსოვილის წარმოება და წარმატებით ახდენს მისი ინდუსტრიის დივერსიფიცირებას, ითვისებს რა საიუველირო და ნავთობ-ქიმიურ წარმოებას.

პონგ-კონგის ინდუსტრიული განვითარება კიდევ უფრო მეტ შთაბეჭდილებას ტოვებს. 1970 წელს მთლიანი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 800 დოლარს შეადგენდა. 1992 წელს კი ამ მაჩვენებელმა 15 ათას დოლარს გადააჭარბა, ანუ მიაღწია ევროპის განვითარებული ქვეყნების დონეს. ეს ნახტომიც ამ ქვეყანაში მრეწველობის ინოვაციური დარგების განვითარების პრიორიტეტულობამ განაპირობა.

თურქეთმაც აირჩია ინდუსტრიული განვითარების მსგავსი გზა. იგი დაახლოებით 50-70 წლის განმავლობაში ნელდულის ექსპორტიორი და მძიმე ინდუსტრიის, რთული ნაწარმის (ნაკეთობის) იმპორტიორი ქვეყნიდან, მაღალი დამატებული ღირებულების მქონე ნაწარმისა და მძიმე მრეწველობის პროდუქციის მსოფლიო მიმწოდებლად გადაიქცა. ეს კი მიღწეული იქნა იმ მიზანმიმართული ინოვაციური პოლიტიკის გატარების შედეგად, რომელიც ჯერ (1930-70 წლებში) იმპორტის ჩამნაცვლებელი დარგების, შემდეგ კი ექსპორტზე ორიენტირებული მრეწველობის განვითარებას ითვალისწინებდა. განვითარების აღნიშნული პროცესი თავისუფალი არ იყო გაუთვალისწინებელი პრობლემებისგან. განსხვავებით ლათინური ამერიკის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რიგი ქვეყნებისგან, იმპორტჩამნაცვლებელი ინდუსტრიალიზაციის პირველი ფაზის დასრულებისთანავე, თურქეთმა შეძლო წარმატებით ჩართულიყო კონკურენციაში. ბოლო დროს თურქეთის მრეწველობამ შეძლო ტელეკომუნიკაციის სფეროში რამდენიმე ისეთი ინოვაციური სიახლის დანერგვა, რომელთა დამუშავების საფუძველი საკუთარი კვლევითი პროექტების შედეგები გახდა. [3. გვ-23]

ინოვაციური პოლიტიკის გამოყენების საფუძველზე ეკონომიკის წარმატებით განვითარების კარგი მაგალითია ტაილანდი, მაღაიზია და ფინეთი. მაგ., ინოვაციური პოლიტიკა ფინეთის განვითარების სტრატეგიის საფუძველია. ის აერთიანებს სახელმწიფო მართვის ორგანოების, პროფკავშირების, სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტთა და კერძო ბიზნეს-სტრუქტურების ძალისხმევას. ექსპერტთა შეფასებით, თანამედროვე ეტაპზე ამ ქვეყნებს აქვთ რეალური შანსი, გადაიქცნენ მსოფლიოს ყველაზე კონკურენტუნარიან ქვეყნებად, რასაც ისინი სწორედ შედეგიანი ინოვაციური პოლიტიკის გატარების მეშვეობით აღწევენ. მათ მიერ განხორციელებული ინოვაციური პოლიტიკა ემყარება სპეციალ-

ური ინოვაციური პროცესების მხარდაჭერას, რეგიონულ სამეწარმეო დონეზე ინოვაციების ათვისების სტიმულირებასა და დარგთაშორისი ბალანსის კოორდინაციაში ინოვაციის როლის დადგენას [4. გვ-24].

თვისებრივად მსგავსი თანამიმდევრობით უნდა დაინერგოს ინოვაციური პროცესები საქართველოშიც, რომლის კრიზისიდან გამოსვლის გრძელვადიანი სტრატეგიაც სწორედ ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციაზე უნდა გადიოდეს. ჩვენს ქვეყანას შეუძლია ინოვაციური პოლიტიკის ზემოთ განხილულ მოდელებს შორის აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი ვარიანტი, რომლის მეშვეობითაც იგი შეძლებს საბაზრო ინფრასტრუქტურის გარდაქმნას სამრეწველო ინოვაციების ათვისების მეშვეობით.

საქართველოს ინოვაციური პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების განვითარებას, თავისუფალი კონკურენციის პირობებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, სტანდარტების შექმნას და შესრულებას, იურიდიული სისტემის მუდმივ სრულყოფას, ბიუროკრატის შემცირებასა და მეწარმეებისთვის სხვა, ხელისშემშლელი ბარიერების მოხსნას. იგი ხელს უნდა უწყობდეს მეცნიერებასა და მრეწველობას შორის კავშირების განმტკიცებას, უზრუნველყოფდეს სამეწარმეო კომპანიებს საწყისი და სარისკო კაპიტალის წყაროებით, უქმნიდეს მათ სათანადო მატერიალურ, ინფორმაციულ და კულტურულ გარემოს.

მეწარმეთათვის ტექნიკური, ფინანსური, კომერციული, იურიდიული და სხვა სახის დახმარების გაწვევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას — მცირე ბიზნესის ინკუბატორებს, ინდუსტრიულ პარკებს, მუდმივმოქმედ საინფორმაციო ცენტრებს, რომლებიც ექსპერტულ მომსახურებასა და სხვა რესურსებს მიაწვდის დამწვებ ფირმებს. მნიშვნელოვანია ფინანსური დახმარების სხვადასხვა ფორმების არსებობა, დაწვებული მიკროდაფინანსებიდან, ვენჩურული (სარისკო) კაპიტალის ფირმებით და ფონდებით დამთავრებული.

ამასთან, ჩვენს ქვეყანაში გასათვალისწინებელია ინოვაციის მომწიფების კვალობაზე, ფინანსური მოთხოვნილების ცვლილების ხასიათი. საქართველოში ინოვაციური პროცესის რეალიზაცია უნდა მოხდეს შემდეგი თანამიმდევრობით: ჯერ უნდა მოხდეს იდეის

ფორმულირება, შემდეგ ახალი პროდუქციის წარმოების ათვისება და რეალიზება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. ამისთვის საჭიროა ჩვენს ქვეყანაში მოხდეს უცხოური კაპიტალის მოზიდვა, შემდეგ შეიქმნას ინოვაციური პოლიტიკისთვის ხელსაყრელი გარემო, „გადმონერგილ იქნეს“ უცხოეთის უახლესი მიღწევები, ინოვაციური მენეჯმენტისა და მარკეტინგის პროგრესული მეთოდები.

კაპიტალით დახმარების საჭიროება განპირობებულია იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში დამწვებ სამრეწველო ფერმებს, განსაკუთრებით რეგიონებში, არ გააჩნიათ ნაწარმის დაპროექტების, გამოცდისა და წარმოების მოსაწყობად საჭირო ფინანსური რესურსები. საქართველოში ინოვაციური სტრატეგიის რეალიზაციისთვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირებით დახმარების გაწევა გულისხმობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ინკუბატორების, ტექნოპარკების, საკონსულტაციო ცენტრებისა და სხვა) ქსელის შექმნას. მათი მეშვეობით ქვეყანა დამწვებ მწარმოებს უზრუნველყოფს ოფისებით, უქმნის გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი მოქმედების საშუალებას.

უცხოეთის უახლესი მიღწევების, ინოვაციური მენეჯმენტისა და მარკეტინგის პროგრესული მეთოდების ტრანსფერის მეშვეობით საქართველოს მიმართ გაწეული აქტიური დახმარება ითვალისწინებს გამოცდილი უცხოელი ექსპერტების მხრიდან კონსულტაციების მიღებას, მათ აქტიურ მონაწილეობას ახალი ნაწარმის დაპროექტებასა და გამოცდაში, საბაზრო პოტენციალის კვლევაში, დამწვები ფერმების პერსონალის ტრენინგში, დახმარებას პრეზენტაციების ჩატარებასა და საცდელ პროექტთა რეალიზებაში და ა. შ. ჩვენი ქვეყნისთვის გაწეულმა ინფორმაციულმა დახმარებამ უნდა გაარკვიოს მეწარმეები სპეციალურ პროგრამებში, ხელმისაწვდომი გახადოს შესაბამისი მონაცემები, მაგ., საბაზრო მოთხოვნისა და სამრეწველო ინოვაციების შესახებ.

საქართველოს ინოვაციური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს იქეთ, რომ ინოვაციებმა სტიმული მისცეს ახალ კვლევებს, ხელი შეუწყოს მათი წარმოებისთვის საჭირო რესურსების გენერირებას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის წინსვლის მიმანიშნებელი კრიტერიუმი. ინოვაციური კვალიფიკაციის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ სამეცნიერო კვლევების შედეგად, ამიტომ ჩვენს ქვეყანაში ინოვაციური პროცეს-

ების განვითარების ხელშემწყობ უმაღლეს ინსტიტუციონალურ სისტემას უნდა წარმოადგენდეს კვლევითი ორგანიზაციები, სასწავლო დაწესებულებები, სამეცნიერო შედეგების კომერციალიზაციის ცენტრები და ა. შ.

საქართველოში ეფექტიანი ინოვაციური პოლიტიკის გატარების შედეგად, აქცენტი თეორიული (ფუნდამენტური) სამეცნიერო კვლევებიდან უნდა გადავიდეს გამოყენებით, პრაქტიკულ საკითხებზე, რომელთა თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ მოთხოვნილებასა და შესაძლებლობებს. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელია მეცნიერების დისტანცირება პრაქტიკისგან. ამ პრობლემის დაძლევის ერთადერთი გზაა კვლევითი ორგანიზაციების დაფინანსებაში სათანადო მექანიზმების დროული გამოყენება. საქართველოსთვის მიზანშეწონილია მეცნიერების დაფინანსების ისეთი მექანიზმის ამოქმედება, რომელშიც ბიუჯეტის 50-70% უნდა შეიქმნას გარანტირებული რესურსებისგან, მაგ., სახელმწიფო ფინანსებისგან, ხოლო დარჩენილი 30-50% კი – კონტრაქტის საფუძველზე, სარისკო (ვენჩურული) კაპიტალისგან, მაგ., კერძო ბიზნესისგან. მაგ., ფინეთში კვლევა და განვითარებაზე ბოლო პერიოდში ინვესტირებული სახსრების ნახევარზე მეტი მხოლოდ ერთი კომპანიისგან – ნოკიასგან მომდინარეობდა [5. გვ-50]. გასაგებია, რომ დაფინანსების მსგავსი წყაროების გამოყენება ჩვენი ქვეყნის ინოვაციური კვლევების განხორციელებისთვის ნაკლებად შესაძლებელია. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში უფრო მნიშვნელოვანია ინოვაციურ კვლევაზე სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ფინანსური დახმარების გაწევა.

დასკვნა

ამრიგად, 1990-იან წლებში განვითარებულმა გლობალურმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა პროცესებმა მნიშვნელოვანი ძვრები მოახდინეს საქართველოს ეკონომიკაში. ქვეყანაში გამოიკვეთა მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით ინოვაციური პოლიტიკის არასრულყოფილი მენეჯმენტი, საწარმოთა მიერ მორალურად გაცვეთილი ტექნოლოგიების ფლობა და ინოვაციური პროცესების განვითარების საკმაოდ დაბალი დონე. საქართველო ვერ შეძლებს საკუთარი მატერიალური და ფინანსური სახსრებით თავისი ინოვაციური ტექნოლოგიების დამოუკიდებლად გამოგონებას, გამოცდასა და დანერგვას, ამიტომ დღის წესრიგში დგება სწორი ინოვაციური პოლიტიკის

ინოვაციური პროცესების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

გატარების შედეგად წარმატებული ქვეყნების მიერ ინოვაციური პროცესების განვითარების სფეროში დაგროვილი გამოცდილების გადმონერგვის აუცილებლობა.

კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები გამოიხატება საქართველოში ინოვაციური პროცესების არაეფექტური მენეჯმენტის ნიშნების გამოვლენაში. ნაშრომის კვლევის შედეგად მიღებული თეორიული და მეთოდოლოგიური შედეგები გამოადგებათ ინოვაციური პროცესებისა და ინოვაციური პოლიტიკის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერ-მუშაკებს, მკვლევარებს, დოქტორანტებს, მაგისტრანტებსა და ბაკალავრიატის სტუდენტებს, ხოლო კვლევის პრაქტიკული შედეგები კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საცდელ-საკონსტრუქტორო ლაბორატორიების, ინოვაციური-მეწარმეების, ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციით დაკავებული სხვა აღმასრულებელი ორგანოების მუშაკთა მიერ.

რეკომენდაციები. ამრიგად, საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ინოვაციური პოლიტიკისა და კვლევითი პროცესების სწორად წარმართვას, რისთვისაც საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. ინოვაციური პროცესების ინტენსიური

განვითარების მიზნით საჭიროა, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ წარმართოს ისეთი ინოვაციური პოლიტიკა, რაც შექმნის პროგრესული სამრეწველო ინოვაციების მოზიდვის ხელსაყრელ გარემოპირობებს;

2. საქართველოში უნდა ამოქმედდეს ისეთი ინოვაციური პროექტები, რომელთა ფუნქციონირება მეწარმეებს მისცემს ლოკალურად არსებული რესურსებისა და გლობალური ბაზრების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების შესაძლებლობებს;

3. საქართველოს ინოვაციური პოლიტიკის მთავარ ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდეს უცხოეთის სამრეწველო ინოვაციების მიღებაში იმ კომპანიებზე დახმარება, რომელთაც ორგანიზაციული თუ ფინანსური პრობლემების გამო, არ შეუძლიათ მათთვის სასურველი პროგრესიული ინოვაციების დამოუკიდებლად შექმნა;

4. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ინოვაციურ კომპანიებზე დახმარების გაწევა უნდა უკავშირდებოდეს მსოფლიოში მიმდინარე ინოვაციური პროცესების შესახებ მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, სტანდარტების დამუშავებას, მათი დაცვისა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის კონტროლს.

ლიტერატურა:

1. **სამადაშვილი ა.** სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2009.გვ. 239 {**A Samadashvili.** Management Entrepreneurial and Technological Innovation. Publishing House «Technical University», Tbilisi, 2009. pg. 239};
2. **S. Maital** Executive Economics, FREE PRESS, 1995;
3. **Paul Trott** “Innovation Management and New Product Development”, Third Edition, Prentice Hall, 2004
4. “Building of Knowledge Economies: Advanced Strategies for Development”, WBI Development Studies, The World Bank, Washington, D.C., 2007]
5. Hans-Peter Martin, Herald Shumann “Die Globalisierungsfalle”, Rowohlt Verlag GMBH, 1996.

საქართველოსა და ევროკავშირის ენერგეტიკული თანამშრომლობის ინოვაციური ასპექტები



პაატა აროშიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

PAATA AROSHIDZE

Doctor of Economics, Association Professor
of Batumi Shota Rustaveli State University,
Georgia

ანოტაცია

სტატიაში განხილულია საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში და მისი ინოვაციური ასპექტები. ენერგეტიკის ინოვაციური განვითარება აღიწერება ხანგრძლივი ციკლის ფარგლებში და წარმოადგენს ორ ურთიერთდაკავშირებულ კონტექსტს: ტექნოლოგიური განვითარება (არსებული ტექნოლოგიური პროცესების ეფექტურობის ზრდა, ახალი ტექნოლოგიების ჩამოყალიბება) და ორგანიზაციული განვითარება (სინერგეტიკული განვითარება, ასევე Smart მიმართულების განვითარება, მენეჯმენტი და ინოვაციების კომპლექსური მართვა). ევროპის ენერგეტიკული კონცეფცია გულისხმობს უსაფრთხო ენერგეტიკული პოლიტიკის წარმოებას ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, რომლის საბოლოო შედეგი მიღწეულ უნდა იყოს 2020 წლისთვის, სტრატეგიაზე მუშაობა დაწყებულია 2007 წელს და 2008 წლისთვის შეთავაზებულ იქნა სხვადასხვა ინიციატივები, რაც საბოლოოდ სტრატეგიაში აისახა.

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკა, ინოვაციები, ენერგეტიკული სტრატეგია, ევროკავშირი.

INNOVATIVE ASPECTS OF COOPERATION BETWEEN GEORGIA AND THE EU IN THE ENERGY SECTOR

Abstract

The article describes innovative energy development, described in the context of long cycles, appears today in a dual context: technological (increase effectively-existing processes, the emergence of fundamentally new technologies and energy) and organizational (development of synergies, as well as Smart directions, management organizations and integrated innovation management systems). European energy policy has been high on the EU agenda in the past few years. The European Commission adopted two Strategic Energy Reviews on January 2007 and October 2008 proposing a number of strategic initiatives for a new EU energy policy. Most of the proposals in the two Strategic Energy Reviews have been translated into community legislation. However, in the Commission's view, the growing challenges of energy security, climate change, the urge to recover economic growth, the urgency of stepping up efforts to deliver the 20-20-20 objectives for 2020 and the need to move to a more sustainable energy path call for a new European Energy Strategy.

Keywords: Energy, Innovations, Energy Strategy, The European Union

შესავალი

საქართველოს თანამედროვე ეკონომიკის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, ქვეყნის აქტიური ჩართვა საერთაშორისო ურთიერთობებში, ინოვაციური ეკონომიკის დანერგვით, რაც გახდება იმის საფუძველი, რომ სახელმწიფო ოფიციალურად დაიმკვიდრებს კუთვნილ ადგილს ევროპულ თანამეგობრობაში.

ენერჯის მიწოდება, მოხმარება და ინოვაციური საქმიანობების სტიმულირება, წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში. ენერჯორესურსების ეფექტური გამოყენება და ინოვაციები განახლებადი ენერჯიების სფეროში და მდგრად ენერჯეტიკაში საშუალებას იძლევა სწრაფად გადაიჭრას ისეთი სოციალურად აქტიური პრობლემები, როგორცაა: ენერჯორესურსების მიწოდება, ენერჯორესურსების მოხმარების ზრდა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეები [2].

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ევროკავშირის ენერჯეტიკული სტრატეგია 2020-ის შესწავლის საფუძველზე საქართველოსა და ევროკავშირის შორის ენერჯოთანამშრომლობის განხილვა, იმ ასპექტების გამოყოფა, რაც აფერხებს თანამშრომლობის განვითარებას.

ნაშრომის ამოცანაა, გამოიკვეთოს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ენერჯეტიკული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და ის ასპექტები, რომლის შესრულება აუცილებელია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის შეთანხმების ინოვაციური მიმართულება.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის,“ გულისხმობს საქართველოს ენერჯოუსაფრთხოების განმტკიცებას, მათ შორის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოვებას და თანამშრომლობის განვითარებას ისეთი მიმართულებებით, როგორცაა ელექტროენერჯეტიკა, ბუნებრივი აირისა და ნავთობის მოძიება, მოპოვება და ტრანზიტი, განახლებადი ენერჯია და ენერჯოეფექტიანობა. ასევე, შეთანხმება ითვალისწინებს

საქართველოს ევროპის ენერჯეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესაძლებლობას.

ვინაიდან „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მოიცავს არა მხოლოდ იმ სფეროებს, რომლებშიც ევროკავშირს ექსკლუზიური კომპეტენცია აქვს, არამედ სფეროებს, რომლებშიც ევროკავშირი ინაწილებს კომპეტენციას წევრ ქვეყნებთან, შესაბამისად, შეთანხმების მხარეებად ევროკავშირთან ერთად გამოდიან მისი წევრი ქვეყნებიც. რაც შეეხება ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას (ევრატომი), მიუხედავად იმისა, რომ 1993 წელს (მაასტრიხტის ხელშეკრულებით) და 2009 წელს (ლისაბონის ხელშეკრულებით) მოხდა ევროპის გაერთიანების (ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება - European Coal and Steel Community და ევროპის ეკონომიკური გაერთიანება - European Economic Community) ჯერ შერწყმა, ხოლო შემდგომ ერთ სამართლებრივ სუბიექტად (ევროკავშირად, EU) ჩამოყალიბება, ევროპული ატომური ენერჯის გაერთიანებამ (European Atomic Energy Community) შეინარჩუნა დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი. ვინაიდან „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მოიცავს ატომური ენერჯის გაერთიანების კომპეტენციაში შემაჯავალ საკითხებსაც, ევრატომი წარმოადგენს შეთანხმების მხარეს.

ენერჯეტიკის სექტორში ინოვაციური პროექტების განხორციელება დამოკიდებულია როგორც შიდა, ასევე საგარეო ფაქტორებზე:

– მსოფლიო ეკონომიკის ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარება - კონკურენცია ხორციელდება არა მარტო ინოვაციის მხრივ ლიდერ ქვეყნებს შორის, არამედ განვითარებად ქვეყნებს შორისაც;

– გლობალური მასშტაბით კონკურენტუნარიანობის გაძლიერება ინოვაციური სისტემების განმსაზღვრელი ფაქტორების მხრივ - მიზნობრივი ინვესტიციები, მაღალკვალიფიციური მუშახელი და ა.შ.

– გლობალური გამოწვევები - კლიმატის ცვლილება, მოსახლეობის „დაბერება“, სასურსათო უსაფრთხოება - ეს ფაქტორები კარნახობს ცალკეული სფეროს ვიწრო ტექნოლოგიურ განვითარებას (სუფთა ენერჯეტიკა, გენური მედიცინა, სოფლის მეურნეობის ახალი ტექნოლოგიები), რომელ სფეროებშიც საქართველოს ნაკლები გამოცდილება გააჩნია.

ინოვაციური პროექტები საქართველოს ენ-

ერგეტიკაში.

მიუხედავად მრავალი სირთულისა, საქართველოს ენერგეტიკის სფეროში ხორციელდება ინოვაციური პროექტები. მათი განხორციელება განპირობებულია არა მარტო თანამედროვე ეკონომიკური მოთხოვნებით, არამედ ენერგეტიკის სექტორის, როგორც მაღალკონკურენტუნარიანი და მეცნიერებატევადი სფეროს თავისებურებებით, რადგან, თუ ამ სფეროში იარსებებს ინოვაციური ჩამორჩენა, ეს გამოიწვევს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის შემცირებას. დღეისთვის საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტებია:

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის - პროექტის სტრატეგიისა და პოლიტიკის დაგეგმვის ხელშეწყობა საქართველოში - განიხილავს „ევროკავშირის სტრატეგია: 2020-ს“, რომელიც ზოგად მიზანს ემსახურება ხუთი სტრატეგიული ამოცანის საშუალებით. ესენია: ენერგოეფექტურობა, ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისება, ინოვაციური და კვლევა-დანერგვის სამუშაოები, ენერგეტიკული ბაზრების განვითარება, თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან. [3]

ენერგოეფექტურობა — ენერგოეფექტურობის მიზანი არის არა შეუზღუდავი მოხმარების დაკმაყოფილება, არამედ მიწოდებისა და მოხმარების დაბალანსება, რაც ოპტიმალურად მიიღწევა ორივე მხარეს ღონისძიებების გატარებით - როგორც მიწოდების ზრდით, ასევე მოხმარების შეზღუდვით. ამასთანავე ენერგოეფექტურობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და კლიმატის ცვლილების შერბილებას, რის გამოც ხდება ენერგეტიკულ სტრატეგიებში მისი გათვალისწინება. ენერგოეფექტურობა შედის როგორც სტრატეგიის მიზნებში, ასევე მისი შესრულების ღონისძიებებში და ბოლოს დეტალურად განიხილება შესაბამის თავში. ენერგოეფექტურობის კონკრეტული ღონისძიებები და მიზნები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, თუმცა უმრავლესობა ენერგოეფექტურობის ერთნაირ მაჩვენებლებს იყენებს. ესენია ეკონომიკის ენერგოტეკვალობა, მშპ-ს ერთეულზე მოხმარებული ენერჯის რაოდენობა. ზოგიერთი ქვეყანა ამ ინდიკატორს იყენებს სამიზნედ, ამბობს რა, რომ მშპ-ს ენერგეტიკულ ინტენსივობას შეამცირებს კონკრეტული პროცენტით საბაზისო წელთან შედარებით. სხვა ქვეყნების მიზანია პირველადი ან საბოლოო ენერჯის მოხმარების შემცირების

პროცენტული მაჩვენებელი საბაზისო წელთან შედარებით. ზოგიერთ ქვეყანას აქვს უფრო სპეციფიკური მიზნები როგორცაა სხვადასხვა სექტორში ენერჯის მოხმარების პროცენტული შემცირება. ზოგიერთ ქვეყანას კი არ მოჰყავს ენერჯის მოხმარების შემცირების რამე კონკრეტული მაჩვენებელი. ნაცვლად ამისა, მაგალითად, აშშ დეტალურად აღწერს დაგეგმილ ღონისძიებებს და ამ ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ინვესტიციების მოცულობებს. ევროკავშირის წევრი ქვეყნები ენერგოეფექტურობის მიღწევაში ხელმძღვანელობენ ევროკავშირის 20/20/20 სტრატეგიით, სხვა ქვეყნები კი ხელმძღვანელობენ საკუთარი დამოუკიდებელი პრინციპებით. ენერგოეფექტურობის მიღწევის მიზნის განხილვას მოსდევს მისი მიღწევის ღონისძიებების აღწერა. ზოგიერთი ქვეყანა ცალკე გამოყოფს ტრანსპორტსა და შენობებს, როგორც ენერჯის ყველაზე დიდ მომხმარებლებს. ღონისძიებები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, თუმცა შესაძლებელია საერთო პრინციპების გამოყოფა:

- ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაცია (ხშირ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ ელექტროენერჯიაზე) და/ან ჯვარედინი სუბსიდირების აღმოფხვრა რაც ზრდის ეფექტურობას როგორც მიწოდების, ასევე მოხმარების მხარეს;

- შენობებში ენერგოეფექტურობის გაზრდა;

- საკანონმდებლო ბაზის განვითარება ენერგოეფექტურობის კუთხით;

- სტანდარტები და მარკირება;

- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ენერგოეფექტურობაზე.

ენერგოეფექტურობის პროგრამები ვერ განხორციელდება შესაბამისი დაფინანსების გარეშე. ქვეყნების უმრავლესობა განსახლავს ენერგოეფექტურობის ღონისძიებებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებს და მათ წყაროებს. მაგალითად, გერმანიის ენერგოეფექტურობის ფონდის ბიუჯეტი 2010 წელს შეადგენდა €100 მილიონს. რუსეთს შეფასებული აქვს დაფინანსების წყარო, ზოგიერთი ქვეყანა კი, უბრალოდ, მიუთითებს სტრატეგიის განხორციელებისთვის საჭირო თანხას და ნაწილის ბიუჯეტიდან ნაწილის კი კერძო სექტორიდან დაფინანსებას გვემავს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნების უმრავლესობას აქვს საერთო პრინციპები ენერგოეფექტურობასთან მიმართებით.

ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისე-

ბა — ენერგეტიკულ სტრატეგიებში ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ენერჯის განახლებადი წყაროების (პიდრო, ქარი, მზე, ბიომასა და ბიოსაწვავი, გეოთერმული წყლები) ათვისება წარმოადგენს. ეგწ-ების ასეთი აქტუალობა ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მათი განსაკუთრებული წვლილით აიხსნება, რაც სამომავლოდ მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების მძლავრ საშუალებად განიხილება. გარდა ამისა, მათი რესურსი ამოწურავია და გლობალურ გარემოს ნაკლებ ზიანს აყენებს. მდგრადი განვითარების პრინციპების სათანადოდ გათვალისწინების შემთხვევაში ეგწ-ების განვითარება მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ სარგებელს ქმნის ახალი სამუშაო ადგილებისა და მშპ-ში ენერგეტიკის სექტორის წილის ზრდით.

ინოვაციური და კვლევა-დანერგვის სამუშაოებისთვის ქვეყნები ითვალისწინებენ კვლევით პროგრამების გაზრდილ დაფინანსებას და ტექნოპარკების განვითარებას. ამერიკაში უნივერსიტეტების გარდა არის სპეციალური ენერგეტიკული კვლევების სააგენტო ARPA-E 200 მილიონი დოლარის დაფინანსებით, ამასთან ხდება ინოვაციური ცენტრების (Hub) ორგანიზება ქვეყნის საუკეთესო ინტელექტუალური რესურსების მოზიდვით (US). 2011 წელს სამი ასეთი თემატური ცენტრი არსებობდა. 2012 წლიდან კი მათი რაოდენობის გაორმაგება იგეგმებოდა. აზერბაიჯანს შექმნილი აქვს ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების პოლიგონი. საბიუჯეტო დაფინანსებასთან ერთად, ენერგეტიკული კვლევის პროგრამები აქტიურად იზიდავს კერძო ინვესტიციებს. ზაზგასასმელია, რომ ეს ყველაფერი ემატება იმ აქტიურ კვლევა-დანერგვის სამუშაოს, რასაც უნივერსიტეტები თუ მსხვილი კერძო კომპანიების კვლევითი ცენტრები აწარმოებენ. ამდენად, სხვადასხვა ქვეყნებს განსხვავებულად აქვთ განხილული ენერგეტიკის ინოვაციური განვითარებისა და კვლევა-დანერგვის საკითხები თავიანთ ენერგეტიკულ სტრატეგიებში. ყველა შემთხვევაში ეს არის დაკავშირებული სტრატეგიის ამოცანებისა და ამ მიმართულებით ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტასთან და ითვალისწინებს არსებულ მდგომარეობას და მომავალ გამოწვევებს. ანუ ის განიხილება, როგორც ენერგეტიკული სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტი და ასევე, სტრატეგიის კონკრეტული მიზნების განხორციელების

ინსტრუმენტი. ინტელექტუალური ქსელების, მაღალი წარმადობის ტექნოლოგიების, განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის ტექნოლოგიების განვითარება ქვეყნების ინოვაციური ტექნოლოგიური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს.

ენერგეტიკული ბაზრების განვითარება — ენერგეტიკული ბაზრის კონკურენტული განვითარება არის სტრატეგიების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის (EU) ერთ-ერთ მთავარ მიზანს ერთიანი ენერგეტიკული ბაზრის შექმნა, მისი გაფართოება და ეფექტურობის გაზრდა წარმოადგენს, რამაც საფუძველი უნდა დაუდოს როგორც მონაწილე ქვეყნების ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, ასევე ფასების შემცირებას კონკურენციის პირობებში. კონკურენცია განიხილება, როგორც ეფექტურობის გაზრდის, ხარჯების შემცირების და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი პირობა.

ენერგეტიკის სექტორში ხორციელდება სხვა პროექტებიც, რომლებიც შესაძლებელია, ინოვაციურ პროექტებად ჩაითვალოს, კერძოდ:

— გაზსაცავის მშენებლობა: გაზსაცავი სამგორის სამხრეთი თაღის საბადოს ბაზაზე აშენდება. მიწისქვეშა გაზსაცავის ამოქმედებით კრიტიკულ სიტუაციებში, გაზის მოწოდების შეფერხების შემთხვევაში აღმოიფხვრება მიწოდებაში არსებული პრობლემები. საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც გაზსაცავი არ გააჩნია, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ადგილობრივ მომხმარებელს ფორსმაჟორულ სიტუაციაში. „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში“ აცხადებენ, რომ გაზსაცავის მშენებლობის დასრულების შემდეგ მაისში 210-280 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის შენახვა იქნება შესაძლებელი, რაც დღევანდელი მთლიანი წლიური მოხმარების დაახლოებით 15%-ს შეადგენს. ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშით დადასტურებულია სამგორის სამხრეთი თაღის ნავთობის საბადოს ბაზაზე 210-280 მლნ კუბური მეტრი სასარგებლო ტევადობის მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის შესაძლებლობა. პროექტის საერთო ღირებულება 230 მილიონი აშშ დოლარიდან 250 მლნ დოლარამდე იქნება. ვინ დააბანდებს თანხას ამ მეტად მნიშვნელოვან პროექტში, ეს ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. გაზსაცავის ამოქმედების შემდეგ მისი საკონტრო-

ტექნოლოგიური ინოვაციები საქართველოს სამრეწველო ფირმებში



ანოტაცია

საქართველოს სამრეწველო ფირმებში სწრაფი ტემპით უნდა დაინერგოს ტექნოლოგიური ინოვაციები, რაც მკვეთრად გაზრდის მენეჯერთა მიერ ახალი იდეების მომგებიან სამრეწველო ნაწარმად ან მომსახურებად გადაქცევის შანსს. ჩვენი ქვეყნის ტექნოლოგიური ინოვაციები სამ ეტაპად უნდა განხორციელდეს. პირველია ე. წ. კონცეპტუალ-იზაციის ეტაპი, როცა ახალი იდეა შეფასებას გადის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში. ამ ეტაპის ბოლოს უნდა დადასტურდეს, რომ იდეა არ ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს. მომდევნო ეტაპი ეძღვნება სიახლის ქმედითუნარიანი პროტოტიპის ინოვაცია-პროდუქტის დამუშავებას. მესამე - ინოვაცია-ტექნოლოგიის ეტაპზე ვითარდება შესაბამისი საწარმო პროცესი, რომელიც ამყარებს ბალანსს ახალი პროდუქტის გამომშვების მოცულობას, ხარისხსა და მის ფასს შორის.

საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგიური ინოვაციები, ინოვაცია-პროდუქტი, ინოვაცია-ტექნოლოგიები, ტექნოლოგიური პროგრესი, ტექნოლოგიური ინოვაციების დაყოვნება, ტექნოლოგიის “სიმწიფის” დონე, ტექნოლოგიური ინოვაციების მართვა, ინოვაციური მეწარმეობა

გულიკო ქათამაძე

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

GULIKO KATAMADZE

Doctor of Economics, Shota Rustaveli Shtate University Associate Professor, Georgia

TECHNOLOGICAL INNOVATIONS OF INDUSTRIAL FIRMS

Abstract

The rapid pace of industrial firms to introduce technological innovations, which will significantly increase by the managers of the new ideas into profitable industrial products or services into a chance. Our country should be carried out in three stages of technological innovations. The first minutes. Sec. Conceptualization phase, when a new idea through to the evaluation of the scientific-research laboratory. At the end of this stage should dadasturdes, that idea does not contradict the laws of nature. The next stage is dedicated to the new C-kmedunariani prototype innovation-product processing. Mesame -inovatsia-stage technology company developing the process, which is also supported by the balance of the first to release a new product, quality and price.

Key words: Technological innovations, innovation-product-technology innovation, Teknologuri progress, technological innovation delay, the maturity level of technology, management, technological innovation, innovative entrepreneurship

შესავალი

ტექნოლოგიური ინოვაციების წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ახალი იდეების, ინოვაცია-პროდუქტის და ინოვაცია-ტექნოლოგიების სწორ კომბინაციაზე. რომელიმე ეტაპის ამოვარდნა, ან არასაკ-

მარისი განვითარება ანგრევს ტექნოლოგიურ ინოვაციებს. ჩვენი მიზანია ჩვენება იმისა, რომ ტექნოლოგიური პროგრესი თავადაც ახ-დენს გავლენას მასთან უშუალოდ ან ირიბად დაკავშირებული სფეროების განვითარების ტემპზე. ჩვენი ამოცანაა ჩვენება იმისა, რომ არსებობს გარკვეული შეზღუდვები ისეთი განვითარებისთვის, რომლებიც უკავშირდებიან ტექნოლოგიის „სიმწიფის“ დონეს. ამიტომ ზოგჯერ ინოვაციური დაფოვნება ძალიან დიდ დროს მოიცავს. კვლევის ორიგინალობა იმაშია, რომ ვაჩვენებთ პრობლემათა ერთობლიობას, რომლებიც მიანიშნებენ, რომ აუცილებელია დაუფონებლივ დაიწვოს ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა საქართველოს სამრეწველო საწარმოებში, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციური მენეჯმენტის დონის ამაღლებას. ავტორების წვლილი გამოიხატება მოცემული პრობლემის კვლევაში საქართველოს სამრეწველო ფორმების მაგალითზე. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები, კერძოდ: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

ტექნოლოგიური ინოვაციების მართვის სრულყოფამ ინოვაციური დაფოვნების მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. სამეცნიერო კვლევაში ყოველთვის არსებობს საკმაოდ ძნელად გადასალახი ბარიერები. ამიტომ არ უნდა მოველოდეთ, რომ ტექნოლოგიური პროგრესი კვლევაზე გაწეული ხარჯების პროპორციულად განვითარდება. ტექნოლოგიური ინოვაციებში გაერცვლებულია რამდენიმე მიდგომა, რომლებიც აქტიურად შეიძლება იყოს გამოყენებული ინოვაციური დაფოვნების შემცირებისთვის.

ტექნოლოგიური ინოვაციების დაფოვნების შემცირების კიდევ ერთი გზაა ე. წ. ერთობლივი დაპროექტების მეთოდის გამოყენება. იგი წარმოადგენს ახალი პროდუქტის შექმნის ამოცანის გუნდურად გადაწყვეტის მეთოდოლოგიას, რომლის გამოყენებისას ერთიან გუნდში მომუშავე კვლევის, დიზაინის, ფინანსების, ბუღალტერიისა და ეკონომიკის სპეციალისტებს ახალი ნაწარმის დამუშავების დასაწყისშივე ეძლევათ პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. აღნიშნული მკვეთრად განსხვავდება ტრადიციული და ბევრად უფრო ნელი პროცესისგან, რომლის მსვლელობაში ახალი პროდუქტი იქმნება თანამიმდევრული გადასვლებით კვლევიდან დაპროექტებაზე, შემდეგ წარმოების მომზა-

დებაზე და ა.შ., მისი ბაზარზე გატანის ჩათვლით. ერთობლივი პროექტირება იძლევა იმის საშუალებას, რომ მარკეტინგული პრობლემები გამოაშკარავდეს ახალი პროდუქტის ინოვაციური კვლევის საწყისივე სტადიაზე და არა არარეალიზებული ნაწარმით საწყობების გადავსების შემდეგ.

მეწარმეობის კლასიკურ მოდელში მეწარმე მიისწრაფვის მუშაობა მიმართოს დახარჯული რესურსებისგან მაქსიმალური უკუგების მიღებაზე. ამ მოდელის ფარგლებში ხდება წარმოების ზრდის მართვის კონცეფციის ჩამოყალიბება, რომლის განხორციელება სამეწარმეო ფირმისთვის ისეთი „გარე“ ფაქტორების ამოქმედებას უკავშირდება, როგორც არის მთავრობის მიერ განხორციელებული სუბსიდირება, პროტექციონისტული ღონისძიებები და ა. შ. რასაკვირველია, ამ მოდელის ფარგლებში იგულისხმება ფირმის შიგა რეზერვების ამოქმედებაც რენტაბელურობის გაზრდის, წარმოების მოდერნიზაციისა და პროდუქციის ასორტიმენტის განახლების მიზნით.

ინოვაციური (პროდუქტიული) მეწარმეობის მოდელი მოიცავს საწარმოს განვითარების ახალი გზების ძიებას, რაც შესაძლებლობას იძლევა, ვილაპარაკოთ ინოვაციების მართვაზე აგებული ზრდის კონცეფციის შესახებ. სამეწარმეო პრაქტიკა თავისთავში მოიცავს ტექნოლოგიური ინოვაციების რეალიზაციასაც. იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება მთლიანად ეფუძნება ტექნოლოგიურ ინოვაციებს, მისი ამგვარი ორგანიზების შედეგს წარმოადგენს სრულიად ახალი პროდუქტი ან პრინციპულად ახალი მახასიათებლების მქონე ნაწარმი. მაგრამ ტრადიციული საქონლის წარმოებაც შეიძლება განხორციელდეს ახალი ელემენტების ან მეთოდების გამოყენებით, რომლებიც წარმოების ორგანიზაციასთან, მის ტექნიკურ ელემენტებთან ან ნაწარმის ხარისხის მაჩვენებლებთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, შეიძლება ვილაპარაკოთ ისეთი ტრადიციული საქონლის წარმოებაზე, რომელიც მიმდინარეობს ნაწილობრივი ტექნოლოგიური ინოვაციების განხორციელების მეშვეობით.

განვიხილოთ ტექნოლოგიათა კვლევის პროცესების რამდენიმე თავისებურება. ტექნოლოგიური კვლევებისა და ინოვაციების დაფინანსებაზე გაწეული ხარჯების ზრდის ფაქტის ახსნას ჰიპოთეზების სამი ჯგუფის მოშველიებით ცდილობენ:

1. კრიზისული ჰიპოთეზა ამტკიცებს, რომ ნავთობქიმიამი გამოყენებული ძირითადი ტექ-

ნოლოგიები განვითარების პიკს მიუახლოვდა 1980-იან წლებში. ამის შემდეგ მათი საგრძნობი გაუმჯობესება შეუძლებელი გახდა. მსოფლიო სანავთობო კრიზისებს მოჰყვა ნავთობ-კომპანიების მცდელობა, ნედლი ნავთობის ღირებულების ზრდის ფონზე შეემცირებინათ საწარმოო ხარჯები ან მოექმნათ ალტერნატიული ტექნოლოგიები. ამას კი, დასჭირდა მნიშვნელოვანი ინვესტირება ტექნოლოგიებში;

2. უწყვეტი ტექნოლოგიური პროგრესის ჰიპოთეზა აჩვენებს, რომ დროის შუალედი, რომელიც ახალი ცოდნის გაჩენიდან მის კომერციულ გამოყენებამდე გადის, სულ უფრო მოკლე ხდება. ამიტომ ტექნოლოგიების დროული დამუშავება სამრეწველო კომპანიების მხრიდან მოითხოვს თანხების მზარდი ინტენსიურობით ხარჯვას.

3. გლობალური კონკურენციის ჰიპოთეზა მიუთითებს იმაზე, რომ ე.წ. „ახალი“ ინდუსტრიული ქვეყნები კონკურენტუნარიანობას ჯერ მის დაბალტექნოლოგიურ სექტორებზე აღწევენ (სათანადო ტექნოლოგიები მათთვის აღვილად ათვისებადია), ხოლო შემდეგ მაღალტექნოლოგიური სექტორებისკენ მისწრაფვიან [2. გვ.–31]:

საკუთარი ღირებულების შენარჩუნებისთვის, სამრეწველო ორგანიზაციები ისეთ ინდუსტრიულ ქვეყნებში, როგორცაა იაპონია, შეერთებული შტატები, ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოები, იძულებულნი ხდებიან, მეტი კონცენტრირება მოახდინონ მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებაზე, რაც ძვირადღირებული კვლევების წარმოებას მოითხოვს [3. გვ.–28]. მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიო ინდუსტრიული მიმართულებით განხორციელებული კვლევები ნაკლები მასშტაბით ტარდება. ამ თვალსაზრისით, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება შრომის მაღალი ინტენსიურობით გამოყენების და კაპიტალის მაღალი ინტენსიურობით გამოყენების დარგები. შრომის მაღალი ინტენსიურობით გამოყენების დარგებში პროდუქციის დამატებული ღირებულების შექმნის ძირითადი წყაროა შრომა. მათ ისეთი ინდუსტრიული მიმართულებები მიეკუთვნება, როგორცაა მსუბუქი მრეწველობა, ფეხსაცმლის და ტანსაცმლის წარმოება და ა.შ. მათთვის დამახასიათებელია წარმოება დაბალი ფიქსირებული და მაღალი ცვლადი დანახარჯებით. კაპიტალის მაღალი ინტენსიურობით გამოყენების დარგებში კი დამატებული ღირებულება ძირითადად ქარხნების ტექნოლოგი-

ური აღჭურვილობის მეშვეობით იქმნება. ამის მაგალითებია ელექტრონული და ქიმიური მრეწველობა, რომლებიც მაღალი ფიქსირებული და დაბალი ცვლადი დანახარჯებით ხასიათდება. შესაბამისად, ამ დარგებში მეტი სტიმულები არსებობს ტექნოლოგიის განვითარებაზე მიმართული კვლევა-დამუშავების მხარდაჭერისთვის.

რასაკვირველია, ტექნოლოგია მნიშვნელოვანია შრომის ინტენსიური გამოყენების სექტორებისთვისაც, მხოლოდ აქ მისი განვითარება უპირველეს ყოვლისა, შიგა პროცესების სრულყოფაზეა მიმართული და არა რადიკალური ალტერნატივების შემუშავებაზე. ასეთი განვითარების მაგალითია ორი საწარმოო ოპერაციის გაერთიანება, საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია, ახალი ქსოვილების ან პოლიმერების შექმნა და ა.შ. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება წარმოების ან საბოლოო პროდუქტის დახვეწა და ძალზე იშვიათად – მნიშვნელოვანი სიახლეთა დამკვიდრება. ასეთ დარგებში პრაქტიკულად შეუძლებელია (ჯერჯერობით მაინც) რადიკალური ტექნოლოგიური ცვლილებების, ე.წ. გარღვევების მიღწევა. ოპერაციული საქმიანობა მათში ძირითადად ხელით შრომის გამოყენებას ეყრდნობოდა და ეყრდნობა.

შრომის ინტენსიური გამოყენების დარგებში საბოლოო ნაწარმის აწვობასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური ოპერაციები ხელით მანიპულაციებს და ნაწილების გარკვეული, რთულად აღსაწერი წესით თავმოყრას მოითხოვს. მანამ, სანამ არ იქნება ნაპოვნი არარეგულარული ფორმის კომპონენტების სამგანზომილებიანი სივრცეში ადამიანის გარეშე გადანაცვლების და მაღალი სიზუსტით აგრეგირების ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა, ეკონომიკის ეს სექტორები იმ მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ინოვაციების გარეშე დარჩება, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდებოდა დარგში ტექნოლოგიური დანახარჯების სტრუქტურის მკვეთრი ცვლილება.

კაპიტალის ინტენსიური გამოყენების დარგებში სრულიად სხვა ვითარებაა, აქ ყველა წინაპირობა არსებობს მასშტაბური კვლევების სტიმულირებისთვის. მაგ., ფარმაცევტულ მრეწველობაში კონკურენტებთან შედარებით მნიშვნელოვანი უპირატესობის შესაძენად კომპანიას ახალი წამლის სინთეზირება სჭირდება ან არსებულის წარმოების ალტერნატიული გზის მოძიება. ორივე შესაძლებლობის რეალიზება სიღრმისეულ სამეცნიეროკვლევით საქმიანობას მოითხოვს. მსოფლიოს

წამყვანი ფარმაცევტული კომპანიები ამ კვლევების ჩატარებას დამოუკიდებლად ცდილობენ შემდეგი ორი მიზეზის გამო: 1. კომპანიები ცდილობენ მეტად რთულ კვლევით პროექტებზე სრული კონტროლის შენარჩუნებას, რამაც უნდა უზრუნველყოს კვლევისთვის გამოყოფილი არცთუ მცირე სახსრების ეფექტიანი ხარჯვა; 2. ფირმები ცდილობენ დაიცვან საკუთარი სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საიდუმლოება (ინტელექტუალური საკუთრება), რაც კონკურენტუნარიანობის დაცვის აუცილებელი პირობაა.

საქართველოს სამრეწველო ფირმებში უნდა მოხდეს მიზნების ზუსტი ფორმულირება, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს ტექნოლოგიური ინოვაციების მიმდინარეობას. ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ფირმებში უფლებამოსილების სწორი დელეგირება გამოიწვევს გადაწყვეტილებათა მიღების „ჩაცურებას“ ქვევით, სადაც შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანები უშუალოდ ქმნიან ნაწარმს. აღნიშნული მკვეთრად გაზრდის გადაწყვეტილებების მიღების სიჩქარეს, რაც მეტად მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური ინოვაციებისთვის დამახასიათებელ სწრაფად ცვალებად ვითარებაში.

საქართველოში ინოვაციური მეწარმეები (ინტრაპრენიორები) უნდა წარმოადგენდნენ ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვისა და რეალიზაციის მთავარ სუბიექტებს. ჩვენს ქვეყანაში სწორედ მათ უნდა წარმოაჩინონ თავიანთი პროდუქციის ინოვაციურობა, განსხვავებით ენტრეპრენიორებისგან, რომლებიც მათი კონტროლის ქვეშ არსებული რესურსების მოხმარების ახლებური კომბინირებით ცდილობენ შექმნან ახალი სამეწარმეო შესაძლებლობები. ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ფირმებში ინტრაპრენიორები უნდა განიხილებოდნენ, როგორც პრაგმატიკოსები, რომლებიც ოცნებიდან ყოველთვის მოქმედებაზე გადადიან. მათ, როგორც ინიციატორებს, უნდა დაეკისროთ ყველა ტიპის ინოვაციური იდეის საქართველოს სამრეწველო კომპანიებში გაერცვლების პასუხისმგებლობა, რასაც თან სდევს მათი ენერგიული ათვისება.

საჭიროა ჩვენს ქვეყანაში მოქმედმა ენტრეპრენიორებმა მათი ჩანაფიქრის რეალიზებისთვის შექმნან ახალი ორგანიზაცია [1. გვ.-37]. ამიტომ, თუ საქართველოს სამრეწველო კომპანიების მენეჯერებს სურთ, ტექნოლოგიური ინოვაციების მეშვეობით, აამაღლონ თავიანთი ფირმების კონკურენტუნარიანობა, საჭიროა მათ თავიანთი კომპანიების წიაღში შექმნან ინტრაპრენიორობისთვის ხელშემწე-

ყოფი გარემო-პირობები. თანამედროვე მუდმივად ცვალებად, გაურკვევლობით და წინააღმდეგობით აღსავსე სამეწარმეო გარემოში, ტექნოლოგიური ინოვაციების სტრატეგიული მენეჯმენტის პროგრესული მეთოდების გამოყენების გარეშე, შეუძლებელია საქართველოს სამრეწველო კომპანიების წარმატებული ტექნოლოგიურ-ინოვაციური საქმიანობა.

ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ფირმებში ტექნოლოგიური ინოვაციების მენეჯმენტის სრულყოფით დაინტერესებული უნდა იყოს უმაღლესი დონის ტოპ-მენეჯერები, რომელთა ძალისხმევაც მიმართული უნდა იყოს საშუალო და ქვედა დონის მენეჯერთა ინოვაციური აქტიურობის სტიმულირებისაკენ. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, არის ის, რომ ორიენტაცია სტრატეგიულობაზე ხელს უწყობს „შორსმჭვრეტელობის“ განწყობის განვითარებას კომპანიის შიგნით [3. გვ.-24].

საქართველოში ტექნოლოგიური ინოვაციების სტრატეგიული მენეჯმენტის მქონე სამრეწველო კომპანიების მახასიათებელი ერთ-ერთი თვისებაა ის, რომ სტრატეგიული ცნებებით მოაზროვნე მუშაკებს, უკეთ ესმით უმაღლესი მენეჯერების ინოვაციებთან დაკავშირებული იდეების მნიშვნელობა და ის, თუ რატომ არის მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებები, რომელთა შესრულება მათ ეკისრებათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როცა სტრატეგიული პერსპექტივა გარკვეულია, საშემსრულებლო პოლიტიკა ტექნოლოგიური ინოვაციების სფეროში უფრო რაციონალური ხდება, ხოლო გადაწყვეტილებები – უფრო ადეკვატური.

საქართველოში ტექნოლოგიური ინოვაციების მენეჯმენტის მქონე სამრეწველო ფირმების მახასიათებელი კიდევ ერთი თვისებურებაა ის, რომ კომპანიების ინოვაციური საქმიანობის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ თანამედროვე ტენდენციებზე, რომელმაც ფეხი მოიკიდა ბიზნესციკლის დაგეგმვა/შესრულება/კონტროლის ნაწილში. კერძოდ, ეს არის გუნდური მუშაობა და კოოპერირება, რომელიც სულ უფრო მეტად აღმოფხვრის ტრადიციულ განსხვავებას დამკვეთებსა და ამ გეგმების რეალიზატორებს შორის [4. გვ.-125]. ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ფირმებში ტექნოლოგიური ინოვაციების სტრატეგიული მენეჯმენტის ჩამოყალიბების და მენეჯერთა როლის ფორმირების პროცესში მკაფიოდ ჩანს მბრძანებლურ, სიმბოლურ მეთოდებზე უარის თქმის ტენდენცია, რაციონალური, ტრანსაქციული, მაგენერირე-

ბელი მიდგომების სასარგებლოდ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სამრეწველო ფირმებში ტოპმენეჯერის „ძველი“, სტრატეგიის ერთპიროვნული უმაღლესი ხელმძღვანელის როლი, რომლის გადაწყვეტილებები უპირობოდ უნდა აღსრულებულიყო, სულ უფრო იცვლება თანამოსაქმის, ხელშემწყობისა და სპონსორის როლით.

საქართველოს სამრეწველო ფირმებში ტექნოლოგიური პროცესები ტრანზაქციული მოდელით უნდა იმართებოდეს, სადაც ყოველთვის დღის წესრიგში იქნება ინოვაციების მუდმივი სრულყოფა, ხოლო ამ პროცესში კი აქტიურად იქნებიან ჩართულნი როგორც საშუალო, ისე დაბალი დონის მენეჯერები და სპეციალისტები. ყოველივე ეს, ნაყოფიერ ნიადაგს შეუქმნის ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ფირმებში ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებას. საქართველოს ინდუსტრიულ კომპანიებში ახალი ტექნოლოგიების მოზიდვა უნდა მოხდეს ნათელი და მკაფიო მიზნების მქონე კვლევითი პროექტების შესრულების შედეგად. დღესდღეობით დიდი იშვიათობაა მნიშვნელოვანი, ახალი ცოდნის შექმნა შემთხვევითი მიგნების ხარჯზე.

Максимум усилий должно быть направлено на формирование следующих способностей человека. На первое место, на наш взгляд, претендует умение проникать в суть проблемы и обращать основное внимание на причины процесса или явления. На второе место претендует способность к критическому мышлению. Естественно, что приведенная иерархия носит условный характер. Проникновение в суть реальной ситуации неотделимо от критики используемых практических навыков и имеющихся теорий. Как оценить временные и денежные затраты на формирование, широкое использование живого робота, а не принимающего на веру указания и распоряжения вышестоящего руководства? Как не скатиться в поле постоянных дискуссий и критических оценок? Где находится «золотое сечение» потребностей практики и ее совершенствования? Как научить отличать критику ради ее самой и нового видения ситуации? В современном понятийном аппарате мыслящий нестандартно получил определение «креативный». Гипотетически, только умеющий критически оценивать, способен креативно мыслить. Немаловажными качествами человека являются умения убеждать, управлять людьми, доносить новые идеи до

подавляющего большинства и привлекать их на свою сторону, как в качестве сторонников, так и оппонентов.

В 1995 г. была опубликована книга американского психолога Дэниела Гоулмана «Эмоциональный интеллект». По точной оценке автора очень мало уделяется внимания эмоциям человека, их пониманию и использованию в практической деятельности. Уровень эмоциональности человека Гиппократ назвал темпераментом, который передается по наследству. Продолжительный временной интервал использования понятия «темперамент» не означает, что в настоящее время его влияние на жизнь человека, производственную и политическую деятельность изучено и адекватно оценено. Однозначно можно утверждать следующее. Средства массовой информации переполнены эмоциональной неуравновешенностью, жестокостью вербального и невербального общения. По оценкам учителей, преподавателей раздражительность, непослушание, тревожность, импульсивность и агрессивность все чаще становятся приметой времени. По большому счету можно не проводить дорогостоящие социологические опросы, чтобы убедиться в некорректном использовании эмоций. Политики, парламентарии, государственные чиновники всех уровней не стесняются в выражениях, не только в адрес оппонентов, но людей, которые их содержат. Неумение управлять эмоциями находит выражение, по мнению врачей, в увеличении абсолютного и относительного количества депрессивного состояния человека. По данным Всемирной организации здравоохранения депрессия является самым распространенным психическим заболеванием. В возрасте свыше 40 лет им страдает каждый десятый. Депрессивное состояние давно перестало быть личным делом человека. В первую очередь у человека, находящегося в депрессивном состоянии, снижается производительность труда, ухудшается физическое здоровье. Именно депрессия названа ведущей причиной подростковой заболеваемости, приобщения к наркотикам и склонности к суицидальным поступкам. Экономические затраты от негативного влияния эмоций не рассчитываются, человеческие потери не учитываются.

Вопрос о том, что делать носит несправедливый характер, поэтому попытаемся обратиться к Э. Тоффлеру: «Раньше люди изучали прошлое, чтобы пролить свет на настоящее.

Я повернул зеркало времени, уверенный, что четкий образ будущего поможет нам лучше понять настоящее. Сегодня нам все труднее осознавать наши личные и общественные проблемы без применения будущего в качестве интеллектуального орудия». [8,стр.18] В последние годы прошлое часто используется как орудие разъединения, активно культивируется ненависть между народами разных стран, стимулируются войны и т.д. В заключении хотелось бы обратить внимание на общие цели и задачи. Развитие человеческих способностей, самопознание, самоконтроль, дисциплина поведения и интеллектуальные эмоции в равной степени важны для всех живущих на земле. Только умения слушать, понимать, уважать друг друга способствуют уменьшению конфликтов, развитию сотруд-

ничества и созданию подлинных ценностей. Мультидисциплинарность изучения трудовой деятельности человека должна перейти из деклараций и пожеланий в реальную жизнь. Сложно не согласиться с Э. Тоффлером, что необходимо «перешагнуть» через технократию, заменить более гуманным, более дальновидным, более демократичным планированием, подчинить сам процесс эволюции сознательному человеческому руководству. «Ведь это высший ...поворотный пункт истории, в которой человек либо покоряет процессы перемен, либо исчезает, в который из бессознательной марионетки эволюции он превращается либо в ее жертву, либо в ее господина».[8,стр.25] Труд, его подлинная ценность должны стать ведущим направлением гуманитарных исследований.

Литература

1. Протестантская этика и дух капитализма. Вебер М.. Протестантская этика и дух капитализма — М.: Прогресс, 1990. — 808 с.
2. Теория праздного класса. Веблен Т. Теория праздного класса. —М.: Прогресс, 1984. — 368 с.
3. Человеческая деятельность. Мизес Л. Человеческая деятельность. — М.: ОАО «НПО» Экономика, 2000. — 878 с.
4. Человеческие качества. Печчеи А. Человеческие качества — М.: Прогресс, 1980. — 302 с.
5. Исследование о природе и причинах богатства народов. Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов. — М.: Эксмо, 2007. — 765 с.
6. Человек. Цивилизация. Общество. Сорокин П. А. Человек. Цивилизация. Общество — М.: Политиздат, 1992. — 543 с.
7. Общность и общество. Тённис Ф. Общность и общество. — СПб: «Владимир Даль», 2002. — 454 с.
8. Шок будущего. Тоффлер Э. Шок будущего. — М.: ООО «Издательство АСТ», 2002. —557с.
9. Теория экономического развития. Шумпетер Й. Теория экономического развития. — М.: Прогресс, 1982. — 203 с.
10. Благосостояние для всех. Эрхард Л. Благосостояние для всех. — М.: Начала-Пресс, 1991 — 336 с.

ინოვაციების ბაზარი, მისი თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე



ნანული მახარაძე,

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

NANULI MAKHARADZE,

PhD in economics. Assistant professor of Batumi
Shota Rustaveli Shtate University

MARKET OF INNOVATIONS AND ITS FEATURES ON MODERN STAGE

Abstract

Researching innovative market is important for functioning of innovative activity. At the present stage marketing research focus on satisfying the requirements of customers, which requires creation of new product and regulation of innovative market. The new production is important and decisive factor of innovative market, which must ensure the implement of modern scientific and technological achievements in practical application and exporting new product in the market.

Searching innovation ideas and detecting opportunities of new scientific results on the market takes place on the fundamental, exploration, research and development stages. The experience of the developed countries shows that the country's economic progress is stipulated by innovations, which begins with conducting fundamental researches.

Key words: innovation, innovation market, marketing, innovative process, marketing research, agency of innovations.

ინოვაციური საქმიანობის ფუნქციონირებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური ბაზრის შესწავლას, რომელიც ინოვაციების ეფექტიანი ძიების, დამუშავების, დანერგვისა და ათვისების საშუალებას იძლევა. თანამედროვე ეტაპზე კვლევის პროცესში ყურადღების ცენტრში მომხმარებელთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებაა, რომელიც ახალი საქონლის შექმნისა და ინოვაციური პოლიტიკის რეგულირების პრობლემებს მოიცავს.

ანოტაცია

ინოვაციური საქმიანობის ფუნქციონირებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური ბაზრის შესწავლას. თანამედროვე ეტაპზე მარკეტინგული კვლევის პროცესში ყურადღების ცენტრში მომხმარებელთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებაა, რომელიც ახალი საქონლის შექმნისა და ინოვაციური ბაზრის რეგულირებას მოითხოვს. ახალი წარმოებები კი, ინოვაციური ბაზრის მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევების პრაქტიკაში დანერგვა, ათვისება და ახალი (ან განახლებული) საქონლის ბაზარზე გატანა.

ბაზარზე ინოვაციური იდეის ძიებისა და ახალი სამეცნიერო შედეგების შესაძლებლობების გამოვლენა მიმდინარეობს ფუნდამენტური, საძიებო, კვლევითი და დამუშავების ეტაპებზე. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს უმეტესწილად განაპირობებს ინოვაციები, რომლებიც ფუნდამენტური კვლევების ჩატარებით იწყება.

საკანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციათა ბაზარი, მარკეტინგი, ინოვაციური პროცესი, მარკეტინგული კვლევა, ინოვაციების სააგენტო.

ბაზარზე ინოვაციური იდეის ძიებისა და ახალი სამეცნიერო შედეგების შესაძლებლობების გამოვლენა მიმდინარეობს ფუნდამენტური, საძიებო, კვლევითი და დამუშავების ეტაპებზე. ინოვაციური პროცესი კი, შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც საქონელში იდეის მუდმივი განახლების პროცესი, რომელმაც განვითარებაში რამდენიმე ეტაპი გააარა. კერძოდ: ფუნდამენტური სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოები, მარკეტინგი, წარმოება და გასაღების ტექნოლოგიური პროცესი. მათი დანერგვა ყოველთვის დაკავშირებულია ბაზრის მოთხოვნებთან, რომლის მეშვეობითაც ინოვაციები განსაზღვრავენ, თუ რომელი სახეობის ახალმა საქონელმა, სამუშაომ და მომსახურებამ უნდა უზრუნველყოს ბაზარზე საჭირო წილი და რომელი საქონლი საჭიროებს მოდერნიზაციას. ინოვაციური პროცესის ყველაზე აქტუალური საკითხებია: ბაზრის კვლევა; მოსალოდნელი მოთხოვნის ელასტიკურობა საქონლის ფასზე; ახალი და მოდიფიცირებული საქონლისთვის ბაზრის შერჩევა, აგრეთვე საქონლის მომხმარებელამდე დაყვანის სტრატეგია (საქონლის სერტიფიკაცია, რეკლამა, მყიდველისთვის საქონლის გაცნობის მეთოდების შემუშავება); ახალი საქონლის სასიცოცხლო ციკლის სტადიისა დახასიათის საპროგნოზო საქმიანობა; ახალი საქონლის გაყიდვის პირობების განსაზღვრა; ბაზრის კონიუნქტურული კვლევა, კონიუნქტურული სტაბილურობის გამოვლენის პროგნოზირების ღონისძიებები; ახალი საქონლის დანახარჯების, ფასების, წარმოებისა და გაყიდვის მოცულობის, გამოშვების ოპტიმალური მოცულობის დაგეგმვა (მოკლე და გრძელვადიანი გეგმა), გასაყიდი ფასის დადგენა და სხვა.

საქართველოში ჩასახვის სტადიაში მყოფი საწარმოები საჭიროებენ მისდამი მეცნიერულ მიდგომას, რათა არა მხოლოდ გადაჭრას, არამედ ხელი შეუწყოს საბაზრო ურთიერთობების დანერგვას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებაში შეიმჩნევა ტექნიკურ სიახლეთა და ინოვაციათა ნაკადის მოდინებისა და გადინების გარკვეული პერიოდულობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ექსტენსიური და ინტენსიური ნაწილების მონაცვლეობა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თუ ფირმა არ ახდენს საკუთარი ტექნოლოგიების შემუშავებისა და მათ გარე წყაროებიდან იღებს იგი უთუოდ ჩამორჩება ინოვაციურ პროცესებსა და დაკარგავს კონტროლს.

საკვალალო მდგომარეობაა, როდესაც საქმე ეხება ზოგიერთ უცხოურ ინვესტიციას, რომლებიც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არა უახ-

ლესი, არამედ უკვე ხმარებაში მყოფი, შედარებით მოძველებული (უფრო ზუსტად მსოფლიო სტანდარტებით მორალურად გაცვეთილი) ტექნოლოგიების სახით შემოდის, რომელთაც, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად „სეკონდჰანდ“ ინვესტიციის“ (ჩვენი ანალოგიით „მეორადი მოხმარების“) კვალიფიკაცია შეშვენის; მათ ბაზარზე წარმოებული პროდუქცია მხოლოდ „ფორმირებადი ბაზრების“ ფარგლებშია მისაღები და ისიც დროის შეზღუდულ ინტერვალში [2. გვ. 10].

ბაზარზე ახალი იდეების, გამოგონებების, ორგანიზაციული ღონისძიებების დანერგვის, საკუთარი პასუხისმგებლობისა და რისკით მოქმედების პროცესში მეწარმე ახორციელებს ინოვაციებს. მსგავსი ინოვაციური საქმიანობა, შუშპეტერის თეორიის თანახმად, წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელ ძალას. მისი აზრით, სამეწარმეო ნიჭი მდგომარეობს უნიკალურ და საკმაოდ იშვიათ უნარში-სარისკო ბიზნესის მეშვეობით მოახდინოს ბაზარზე ინოვაციათა დანერგვა. ბაზრის ანალიზიდან გამომდინარე, ფირმები ცალკეული სეგმენტების მიხედვით, აფართოებენ წარმოებას იმ ჯგუფში, სადაც ყველაზე დიდი რაოდენობით არის მოსალოდნელი მოთხოვნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია მყიდველის შესწავლა, მისი ინტერესების სფეროს განსაზღვრა, ვინაიდან საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებანი შესაბამისად განსხვავებულია.

ინოვაცია, როგორც ბაზრის პირობებში მოქმედების განსაზღვრული სისტემა, დაკავშირებულია ინოვაციური პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ორგანიზაციასთან. ამ შემთხვევაში ბაზარზე ან მის ცალკეულ სეგმენტზე საწარმოს პოტენციური შესაძლებლობებისა და პოზიციების შეფასება ხორციელდება მარკეტინგული კვლევის საშუალებით. ნებისმიერი ინოვაციური საქმიანობის ძირითადი მიზანია მოგების მიღება. მარკეტინგი ყველაზე კარგად ხსნის ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, როგორც საბაზრო ორიენტაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციური საქმიანობის დამამთავრებელი მარკეტინგული კონცეფცია შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემები ბაზარზე შეფასებული და შესწავლილია [7. გვ. 86].

ინოვაციური პოლიტიკის საფუძველია მიზნობრივი ბაზრების ძიება, ახალი სახეობის საქონლისა და ტრადიციული პროდუქციის ახალი სფეროების მიღება [5. გვ. 255]. აღნიშნული პროგრამის მთავარი მიზანია მიმდინარე და პერსპექტიული პერიოდისთვის გამოშვე-

ბული პროდუქციის (ახალი, განახლებული) მოცულობით განსაზღვრება; საქონლის მიზნობრივი ბაზრის შერჩევა ან საბოლოო მომხმარებლის მოთხოვნისა და მოთხოვნილებების შესწავლა; წარმოების დანახარჯების, ფასებისა და მოგების გაანგარიშება თითოეული საქონლისთვის.


ახალი საქონლის შექმნის, დანერგვისა და გამოცდის საფუძველის წარმოადგენს მარკეტინგული კვლევები. კვლევის მიმართულება და მასშტაბები განისაზღვრება აგრეთვე საწარმოს სტრატეგიითა და მიზნებით, კერძოდ, ახალი საქონლის ბაზარზე გატანით, ცვლილებებით ასორტიმენტულ სტრუქტურაში და ა.შ. ასეთი მიდგომა საჭიროებს მარკეტინგული კვლევის კიდევ უფრო გაღრმავებას პერსპექტიული ბაზრების გამოსავლენად. ხშირად საწარმოს კონკურენტული პოზიციების მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს გასაღების ამა თუ იმ ბაზარზე, ან მის სემენტზე წილი, რომელიც არასაკმარისია კონკურენტული პოზიციების დახასიათებისთვის. ამიტომ აუცილებელია იმისი ცოდნა, თუ რამდენად მყარია მოცემული პოზიციები, რადგან საბაზრო კონკურენცია ესაა მეტოქეობა გამყიდველებს შორის მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით [4. გვ. 106]. გადაწყვეტილების მიღებისას საწარმო უნდა ფლობდეს ინფორმაციას ბაზრის შესახებ, სადაც უნდა მოახდენოს ინოვაციური საქონლის რეალიზაცია.

აღსანიშნავია ის გარემოებები, რომ ჯერჯერობით საზღვარგარეთიდან საქართველოში მეტწილად შემოდის ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი ტექნიკა და ტექნოლოგიები, რომელთაც საზღვარგარეთ ბაზარი არა აქვთ. ამასთან, საქართველოში კონკურენტული ბაზრის იაფი, როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური საშუალო ძალის გამოყენება უცხოელ ინვესტორებს საშუალებას აძლევს, ქვეყნიდან გაიტანონ დიდი მოგება. ეს გარემოება დიდ საფრთხეს უქმნის ეროვნულ ეკონომიკას, რაც გასათვალისწინებელია სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკაში და საინოვაციო პოლიტიკაში.

ამიტომ ბაზარზე საწარმოთა საქმიანობის პრიორიტეტი უნდა გახდეს არსებული მდგომარეობის მარკეტინგული კვლევა და ინოვაციური პროდუქციის რეალიზაციის ფორმებისა და მეთოდების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება.

მარკეტინგული კვლევის ეფექტურად წარმოება დაკავშირებულია ბაზრის კვლევასთან, მით უფრო, როდესაც ბაზარზე ახალი ინოვაციური საქონლის გატანაა გამიზნული.

ჩატარებული მარკეტინგული კვლევით განისაზღვრა, თუ როგორი იყო მომხმარებლის დამოკიდებულება ინოვაციისა და ინოვაციური საქონლისადმი. კვლევისას ყურადღება გამახვილებული იქნა ინოვაციის, ინოვაციური საქონლის, ინოვაციურ საქონელზე ინფორმაციის მიღების წყაროების, სიახლეში უპირატესობებისა და საქონლის შექმნის სიხშირეზე (სულ გამოკითხვაში მონაწილეობდა 500-ზე მეტი რესპონდენტი). მიღებული მონაცემების ანალიზით გამოვლინდა, რომ მომხმარებლის დამოკიდებულება ინოვაციის ცნებისადმი გამოკითხულ მომხმარებელთა 69% პასუხობს, რომ ის ახალი საქონელია; 25%-ის აზრით, ინოვაცია ახალი ხარისხია, ხოლო 6%-მა არ იცის ცნების შინაარსი (იხ. დიაგრამა 1). შედეგებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, რესპონდენტთა 74% იცნობს ქართულ ინოვაციურ პროდუქციას, 26% კი არა. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 95%-ს აინტერესებს კიდევ ქართული ინოვაციური პროდუქცია, ხოლო 5%-ს არც აინტერესებს იგი. მეწარმე-ინოვატორებისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერის თაობაზე რესპონდენტთა 60% პასუხობს დადებითად, 40%-ის აზრით, ასეთი მხარდაჭერა მეწარმეებს არ გააჩნიათ. ქართულ ბაზარზე მეტი ეროვნული პროდუქციის რეალიზაციის სურვილი აქვს რესპონდენტთა 94%-ს, ხოლო 3%-ს – არა, ასევე 3%-მა არ იცის პასუხი კითხვაზე.



დიაგრამა 1. ინოვაციის ცნებისათვის მომხმარებლის დამოკიდებულება

აღსანიშნავია, რომ ინოვაციებზე ნდობის თვალსაზრისით, რესპონდენტთა 71% ენდობა ეროვნულ ინოვაციურ პროდუქციას, ხოლო 29% – უცხოურს. თანაბარი ფასის შემთხვევაში, ქართულ ინოვაციურ პროდუქციას უპირატესობას მიანიჭებდა რესპონდენტთა 72%, ხოლო უცხოურ ინოვაციებს – 28%. ინოვაციურ საქონელზე ინფორმაციის მიღებაში უპირატესობას რესპონდენტთა 54% ტელერეკლამას ანიჭებს, 27% – საგაზეთო რეკლამას, 17% – ახლობელთა გამოცდილებას, ხოლო 4% – რადიო-რეკლამას. მათ შორის რესპონ-

დენტოა 2% – ტელერეკლამასა და ახლობელთა გამოცდილებას ერთად.

ინოვაციური ინფრასტრუქტურის ერთერთ მიმართულებას წარმოადგენს სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური და სამეცნიერო-სამრეწველო ტიპის პარკები. ასეთი პარკების სტრუქტურაში შედის: სამეცნიერო-ტექნიკური პარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, სამეცნიერო ცენტრები, საინოვაციო-ტექნოლოგიური ცენტრები და საინოვაციო სამრეწველო კომპლექსები [6. გვ. 82].

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს უმეტესწილად განაპირობებს ინოვაციები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური მოთხოვნების გაერთიანების შედეგია. სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მაღალტექნოლოგიური მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა. ამისთვის შექმნილია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები – ეკონომიკური განვითარების ოფისი, ინოვაციური ცენტრი, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოები და სხვა.

განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020, რომლის მიხედვით განსაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები, სადაც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად [1. გვ. 17]. საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2014 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო - GITA.

ინოვაციებისთვის ინფრასტრუქტურის ხელშეწყობის მიზნით, ქვეყანაში გაიხსნა პირველი ტექნოლოგიური პარკი (ტექნოპარკი), ტექნოლოგიური პარკის საშუალებით, სახელმწიფო წაახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელთა მთავარი ამოცანა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვაა.

მნიშვნელოვანია ასევე: „ფაბლაბის“ და ინკუბატორების სივრცის შექმნა, რომელიც არის ტექნოლოგიური პლატფორმა სწავლებისთვის და ინოვაციებისთვის. „ფაბლაბი“ ნიშნავს, დააკავშირო და ერთ სივრცეში მოაქციო მსოფლიოს განმანათლებლები, ტექნოლოგები, გამომგონებლები და ინოვატორები. როგორც

ცნობილია, ცოდნის გაზიარების ეს ქსელი მოიცავს 50 ქვეყანას.

ინკუბატორების შექმნით ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება, იქმნება სამუშაო ადგილები და ხდება ინოვაციური იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერა. ინკუბატორის პროგრამა განვითარების შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს და მთავარ მიზანს მათი დამოუკიდებლობა და ფინანსურად სტაბილურობა წარმოადგენს. ინკუბატორის მთავარი მიზანი არსებული კომპანიების მომსახურების ხარისხისა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. წარმატებული ინკუბატორს დაახლოებით 8-20 მიმართულება უნდა ჰქონდეს. მნიშვნელოვანია იმ კომპანიის არსებობა, რომელმაც საინკუბაციო პერიოდი გაიარა.

ტექნოპარკი თავისთავში ასევე მოიცავს start-up აქსელერატორებს, სადაც ყველაზე კრეატიული, ინოვაციური და მეწარმული უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტები მოიყრიან თავს. რაც მთავარია, ეს უნდა იყოს ადგილი, სადაც სტუდენტები განავითარებენ საკუთარ ბიზნეს იდეებს, შექმნიან start-up-ებს. აქსელერატორი უნდა გახდეს ადგილი, რომელიც იქნება: 1. სამუშაო სივრცე ინოვაციური იდეების მქონე start-up-ებისთვის; 2. ადგილი, სადაც ინოვატორები განვითარებენ უნარ-ჩვევებს და აიმაღლებენ კონკურენტუნარიანობას. GITA-ს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დამყარებული ეკონომიკის შექმნაა. სწორედ ამიტომ სააგენტო აწარმოებს სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და სწავლებებს პრიორიტეტული მიმართულებებით. თანამშრომლობს მრავალ ქვეყანასთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან საუკეთესო პრაქტიკების ქვეყანაში დანერგვის მიზნით. ასევე სააგენტო ხელს უწყობს start-up-ების განვითარებას. აქსელერატორების დაარსება ხელს შეუწყობს სტარტაპებს 3-4 თვის განმავლობაში მისცენ საკუთარ პროდუქტს საბაზრო ფორმა. start-up-ების მხარდაჭერა აუცილებელია ბიზნესის გარემოს გასაავითარებლად, რაც ემსახურება ეკონომიკის განვითარებას ქვეყანაში. start-up-ების ფორმირება ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესში გადაწყვეტ როლს თამაშობს. აქსელერატორები კი start-up-ებს განვითარების სწორი კურსის განსაზღვრას უწყობენ ხელს.

ინოვაციური start-up-ების კუთხით დიდი გამოცდილება აქვს ისრაელს, რომელიც მეორე ქვეყანაა მსოფლიოში და მსგავსი თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვაციურად მოახ-

როვნე და მეწარმული იდეების მქონე ახალგაზრდების განვითარებას, მათთვის მაღალი დონის, საერთაშორისო, პრაქტიკული ცოდნის გადაცემას და გლობალური მნიშვნელობის კომპანიების ჩამოყალიბებაში დახმარებას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ერთად მუშაობენ მეწარმობის ახალ მოდულზე, რომელიც რამდენიმე უმაღლეს (ილის უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში და სხვ.) და პროფესიულ სასწავლებლებში „ფაბლაბების“ (Fab Lab (Fabrication Laboratory) – სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების დაფუძნებას გულისხმობს, რომლებიც დაეხმარება მომზადებულ კადრებს, ადგილი დაიმკვიდრონ სწრაფად და მუდმივად ცვალებად საერთაშორისო და ადგილობრივ შრომის ბაზარზე. „ფაბლაბების“ შექმნის მთავარი მიზანია ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაჩქარება და მისი მდგრადი განვითარება. სააგენტო ორიენტირებულია სამეცნიერო სფეროს განვითარების ხელშეწყობისკენ ინოვაციური პროდუქტებისა და კვლევების წარმოების გზით.

ინოვაციების ლაბორატორია წარმოადგენს პროექტს, რომელიც საგანმანათლებლო სფეროში კომპანიისა და სასწავლო დაწესებულების თანამშრომლობას ითვალისწინებს. ლაბორატორიის პარტნიორი კომპანია კი სასწავლო პროცესებს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ამოცანებით უზრუნველყოფს. ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე, მაღალი ტექნოლოგიებით და კომპიუტერულად კონტროლირებადი ინსტრუმენტებით.

GITA-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი ქვეყანაში ცოდნისა და ინოვაციებზე დამყარებული ეკონომიკის შექმნაა. სწორედ ამიტომ სააგენტო აწარმოებს სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და სწავლებებს პრიორიტეტული მიმართულებებით. თანამშრომლობს მრავალ ქვეყანასთან თუ საერთა-

შორისო ორგანიზაციასთან საუკეთესო პრაქტიკების ქვეყანაში დანერგვის მიზნით.

GITA ხელს უწყობს კრეატიული ინდუსტრიის ფორმირებას საქართველოში. შემოქმედებითი აზროვნების ამაღლება განაპირობებს ინოვაციური ეკოსისტემის შექმნას ქვეყანაში. კრეატიული გარემო და ხალხი განაპირობებს ქვეყნის ინოვაციურ წინსვლას. ზრდადი მოთხოვნა საინფორმაციო ტექნოლოგიებში განპირობებულია ბაზარზე არსებული უსაზღვრო შესაძლებლობებით, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. სააგენტო ასევე აქტიურად უჭერს მხარს ექსპორტზე ორიენტირებული ჩით სფეროს ჩამოყალიბებას. საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმოადგენს გასაღებს მსოფლიოს ციფრული სამყაროს განვითარებაში.

თანამედროვე მსოფლიოში მუდმივად მიმდინარეობს ინოვაციური პროცესები. სოციალური ინოვაციები აუცილებელია დადებითი და მარტივად აღქმადი საზოგადოებრივი მაგალითებისა და ინტერესების გამოსამუშავებლად. სააგენტო ასევე ხელს უწყობს სოციალურ ინოვაციური პროცესების დინამიურ დანერგვას.

საქართველოში ინოვაციის სფეროში ბაზრის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას: საინოვაციო პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულება საქართველოში მკვეთრად ნეგატიურიდან პოზიტიურისკენ შეიცვალა; შეიქმნა წინაპირობები საქართველოში საინოვაციო მიმართულებით განვითარებისთვის შემუშავებისთვისა და აგრეთვე, მთავრობის მხრიდან რიგი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმისთვის ინოვაციური განვითარების მიმართულებით. სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის აქტიურად გასატარებლად საჭიროა სახელმწიფო ინოვაციური ფონდის შექმნა. მას, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ მოწინავე ქვეყანაში შესაძლოა პირობითად ეწოდოს „სახელმწიფო ინოვაციური ფონდი“ (ასეთი სახელმწიფო ფონდების ეფექტიანი საქმიანობა კარგადაა ცნობილი ბევრ ქვეყანაში).

ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 სექტემბრის N 1722 განკარგულება. საქართველოს საინოვაციო კონცეფცია.
2. **პაპავა ვლ.** ნეკროეკონომიკა. ჟურნ. მაკრო-მიკროეკონომიკა. თბ., 2000, #10.
3. **ჩიქავა ლ.** ინოვაციური ეკონომიკა. გამომ. „უნივერსალი“ თბ., 2010 წ.
4. **Григорьев М. Н.** Маркетинг: уч. пособие для студентов вузов. М., Гардарики. 2006
5. **Дойль П. Штерн Ф.** Маркетинг, менеджмент и стратегии. 4-ое изд. /Пер. сангл. Санкт-Петербург, «ПИТЕР», 2007
6. **Каленская Н.В.** Маркетинг инноваций. 2012 Медынский В.Г. Инновационный менеджмент. М., «ИНФРА-М», 2002
7. **Титов А. Б.** Маркетинг и управление инновациями. Санкт-Петербург, „ПИТЕР“, 2001 .

ინოვაცია – ბიზნესის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი



ლეილა ცეცხლაძე,

ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

LEILA TSETSKHLADZE,

PhD in Business Administration,
Assistant professor of Batumi
Shota Rustaveli Shtate University

ანოტაცია

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ინოვაციურმა პროცესებმა და ბიზნესზე მათი ზეგავლენის ასპექტებმა მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ინოვაციები განიხილება ეკონომიკურ პროცესებში არსებული წინააღმდეგობებისა და ეკონომიკური კრიზისების დაძლევის მძლავრ ბერკეტად. თანამედროვე სწრაფად ცვალებად და კონკურენტულ გარემოში საწარმოს ინოვაციური მზაობა არის მისი გადარჩენის საფუძველი. ინოვაციური პროდუქციისა და მომსახურების წარმოება და ფართოდ გაერცელება წარმოადგენს წარმოების, დასაქმების, ინვესტიციების, პროდუქციის ხარისხისა და ექსპორტის, საწარმოო სიმძლავრეთა ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორს, ასევე განაპირობებს შრომითი და მატერიალური დანახარჯების ეკონომიას. ყოველივე ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შიდა და გარე ბაზრებზე.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციური პოლიტიკა, განვითარების ინოვაციური ტიპი, ინოვაციები მცირე და მსხვილ საწარმოებში, კონკურენტუნარიანობა.

INNOVATION – DETERMINING FACTOR OF BUSINESS COMPETITIVENESS

Abstract

In the last decades innovative processes and their impact on business gained researchers' big attention. Innovations are considered as a powerful force for overcoming economic challenges and crises. In modern fast-changing and competitive environment innovativeness is necessary for survival of an enterprise. Innovative products and services are important factors for raising effectiveness of enterprise, employment, investments, product quality and exports as well as they reduce labor and material costs. All this in turn ensures raised competitiveness of enterprises in internal and external markets.

Key words: innovation, innovative politics, innovative development, innovations in small and large enterprises, competitiveness

XX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XXI საუკუნის დასაწყისში ბევრი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში გაჩნდა ახალი ტენდენციები. ინფორმაცია გახდა არა მხოლოდ წარმოების ფაქტორი, არამედ შრომის ობიექტიც. ამიტომაც, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა წარმოების საბოლოო შედეგის მნიშვნელოვან ეფექტიანობას განაპირობებს. ბიზნესში კონკურენტული უპირატესობები იცვლება ინდუსტრიამდელ, ინდუსტრიულ და განვითარების პოსტინდუსტრიულ სტადიებზე. ინდუსტრიულ საზოგა-

დობაში მიწასა და ბუნებრივ რესურსებს ცვლის შრომა და კაპიტალი, ხოლო თანამედროვე საზოგადოებაში კი თანდათანობით პირველ ადგილს იკავებს ცოდნა და ინტელექტუალური კაპიტალი. ამასთან, ეკონომიკური აქტივობის დომინირებულ სფეროს წარმოადგენს არა სოფლის მეურნეობა, როგორც ინდუსტრიაში, საზოგადოებაში იყო, და არც მრეწველობა, როგორც ინდუსტრიულში, არამედ მომსახურების სფერო. თანამედროვე პირობებში წარმოებაში განმსაზღვრელია გონებრივი საქმიანობა, ე.ი. არამატერიალური ზემოქმედება ინჟინრების, ბუღალტრების, კონსტრუქტორების, დიზაინერების, პერსონალის, გასაღებისა და მარკეტინგის სპეციალისტების, საინფორმაციო ქსელების ექსპერტების და ა.შ. მხრიდან.

ამრიგად, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ძირითადი კონკურენტული პოტენციალი ეყრდნობა ფირმის თანამშრომელთა ინტელექტუალურ კაპიტალს. ეფექტური ხდება ფულის დაბანდება ბიზნესის არატრადიციულ სფეროებში, მაგალითად, მატერიალურ აქტივებში, არამედ კრეატიულ და ინოვაციურ ბიზნეს იდეებში, რომელთა წყალობითაც ფირმას შეუძლია კონკურენტული უპირატესობის მოპოვება.

გლობალური პროცესების ანალიზი აჩვენებს, რომ ინოვაციები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოების პროცესში. გამოძინარე აქედან, თუ დღემდე კონკურენტუნარიანობის ძირითად ფაქტორად მდიდარი ბუნებრივი რესურსები ითვლებოდა, ამჟამად მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორებად მიჩნეულია სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა, თანამედროვე ტექნოლოგიები, კომუნიკაციის საშუალებები, ინოვაციური კულტურის განვითარება და სხვა. ინოვაციების შემდეგობით ხორციელდება ტექნოლოგიური პროგრესი, რომელსაც მიყვავართ მწარმოებლურობის ამაღლებასთან, წარმოების პროცესში ადამიანის როლისა და ფუნქციების შეცვლასთან, ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა ზრდასთან და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი, ეს არის ინოვაციათა განხორციელების პროცესი როგორც ფიზიკურ კაპიტალში, ასევე წარმოების ორგანიზაციის ფორმებში, ადამიანურ კაპიტალში, ტექნოლოგიებში, ინსტიტუტებში, ადამიანთა ცოდნაში, უნარ-ჩვევებში, ტრადიციებში, სამართლებრივ და კულტურულ ნორმებში და ა.შ.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ინო-

ვაციურმა პროცესებმა და ბიზნესზე მათი ზეგავლენის ასპექტებმა მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ინოვაციები განიხილება ეკონომიკურ პროცესებში არსებული წინააღმდეგობებისა და ეკონომიკური კრიზისების დაძლევის მძლავრ ბერკეტად. თანამედროვე, სწრაფად ცვალებად და კონკურენტულ გარემოში საწარმოს ინოვაციური მზაობა არის მისი გადარჩენის საფუძველი. ინოვაციური პროდუქციისა და მომსახურების წარმოება და ფართოდ გავრცელება წარმოადგენს წარმოების, დასაქმების, ინვესტიციების, პროდუქციის ხარისხისა და ექსპორტის, საწარმოო სიმძლავრეთა ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორს, ასევე განაპირობებს შრომითი და მატერიალური დანახარჯების ეკონომიას. ყოველივე ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შიდა და გარე ბაზრებზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციები წარმოადგენს კონკურენციაში გამარჯვების მძლავრ იარაღს, მაგრამ მან თანამედროვე ეტაპზე გაცილებით უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა. იგი არის ისეთი გლობალური პრობლემების გადაჭრის საშუალება, როგორიცაა ეკოლოგიასთან, სიღარიბესთან და სურსათით მომარაგებასა და უენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები.

ეკონომიკის მეცნიერებაში ინოვაციების მრავალ ფორმას განიხილავენ, რომელთა კლასიფიკაცია შემდეგი ნიშნების მიხედვით შეიძლება:

- საქმიანობის სფეროების მიხედვით – პროდუქტიული, ტექნოლოგიური და მმართველობით-ორგანიზაციული ინოვაციები, რომლებიც იმაედროულად ინოვაციათა ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ;

- სიახლის სიღრმის მიხედვით – რადიკალური, გამაუმჯობესებელი და ფსევდოინოვაციები;

- სიახლის მასშტაბის მიხედვით – მსოფლიო მნიშვნელობის დარგობრივი ინოვაციები, ქვეყნის არეალის დარგობრივი ინოვაციები და ფირმის მასშტაბის ინოვაციები;

- ფირმის მასშტაბების მიხედვით – ლოკალური, სისტემური და სტრატეგიული.

არასწორი იქნება ინოვაციურად ჩავთვალოთ საწარმო, რომელიც მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს ნერგავს. ინოვაციური აქტივობა მრავალმხრივად ხორციელდება საწარმოში და ერთიანობაში მიმართულია კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ არა მხოლოდ საქონლის (მომსახურების) წინ წაწევის მიზნით, არამედ ბიზნესის სისტე-

მაში არსებობისა და ფუნქციონირების მიზნითაც. გარდა ამისა, იმისთვის, რომ ესა თუ ის სიახლე სწრაფად დანერგოს, ინოვაციური ტიპის საწარმო უნდა ფლობდეს უზარმაზარ საინფორმაციო პოტენციალს, თვალს ადევნებდეს მტკ-ის მიღწევებს, კონტრაგენტებთან ურთიერთქმედებისას ფასეულობათა ჯაჭვის ახალ სქემებს, კლიენტებთან ურთიერთობების ახალ ხერხებს და ა.შ.

სხვადასხვა ქვეყანა ახალ ტექნოლოგიათა დანერგვისა და ინოვაციების განხორციელებისათვის სხვადასხვა გზას მიმართავს. მაგალითად, აშშ-ში სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევები ტარდება არასახელმწიფო ორგანიზაციების კონტრაქტებისა და გრანტების საფუძველზე. ამის შემდეგ ფედერალური მთავრობა სამუშაოთი უზრუნველყოფს საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებსა და ტალანტიან მეცნიერებს.

გერმანიაში მაღალი ტექნოლოგიების სფეროში ეყრდნობოდნენ აშშ-ს გამოცდილებას და ახორციელებდნენ სამეცნიერო-საწარმოო პროექტებსა და პროგრამებს, ასევე იყენებდნენ იაპონიისა და დიდი ბრიტანეთის სამეცნიერო პარკების გამოცდილებას. თუმცა 1980-იანი წლების დასაწყისიდან პრიორიტეტი ენიჭება რეგიონული ინოვაციური ფონდების ქსელის შექმნას, საიდანაც უკვე აქცენტი კეთდება მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციურ საქმიანობაზე.

აზიურ ქვეყნებშიც ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციისას აქცენტი კეთდება მცირე და საშუალო ინოვაციურ საწარმოებზე. მაგალითად, იაპონიაში საწარმოთა მთლიან რაოდენობაში მათი რიცხვი შეადგენს 99%-ს ხოლო მშპ-ში წილი 52%-ის ტოლია. ტაივანი მცირე და საშუალო ბიზნესით უზრუნველყოფს დასაქმების 78%-ს და მშპ-ს 45%-ს. {6. გვ.95}

დღეისთვის სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ სად არის ინოვაციური პროცესი უფრო ეფექტური: მსხვილ კორპორაციებში თუ მცირე ინოვაციურ საწარმოებში.

მსხვილი და მცირე ბიზნესის ინოვაციურობის ეფექტიანობის შედარებითი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ორივეს აქვს თავიანთი უპირატესობები და ნაკლოვანებები. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ მსხვილ ბიზნესს აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევებისა და ცოდნის დივერსიფიკაცია, რაც გულისხმობს დასმულ ამოცანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მოწვევის შესაძლებლობას.

ამავე დროს, მსხვილ ბიზნესს ინოვაციურ

სფეროში მნიშვნელოვანი მატერიალური, ფინანსური, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსების კონცენტრირება შეუძლია. შედეგად, მსხვილ კომპანიებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი რესურსები მიმართონ კონკრეტულ პროექტებზე, სწრაფად გადავიდნენ მეცნიერებატევადი ინოვაციური პროდუქციის მასიურ წარმოებაზე. მიუხედავად ამისა, მსხვილი კორპორაციები, ეს არის რთული სტრუქტურები მართვის მრავალდონიანი სისტემით, რის გამოც გადაწყვეტილების მიღების პროცედურები ხანგრძლივდება. შედეგად ქვეითდება მართვის მობილურობა, თანამშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა, ნელდება ბაზრის ქცევაზე რეაქცია. მცირე საწარმოები კი - პირიქით, მობილურები არიან, ოპერატიულად რეაგირებენ ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებებზე და რადგანაც წარმოების მოცულობა ასეთ საწარმოებში დიდი არ არის, დანაკარგთა რისკი, რაც ახლავს ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლას, მნიშვნელოვნად მცირეა მსხვილ საწარმოებთან შედარებით. მცირე ბიზნესი ავლენს ბაზრის რთულ პირობებთან სწრაფად ადაპტირების უნარს, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტექნოლოგიების სწრაფ სრულყოფა-დანერგვას. ამავედროულად, მცირე ბიზნესს არ შეუძლია სამეცნიერო კვლევისა და ცოდნის კონცენტრირება ერთი მიმართულებით და კაპიტალტევადი ინოვაციების შემუშავება.

ამდენად, მცირე ბიზნესის უპირატესობები მსხვილი ბიზნესისთვის ნაკლოვანებებია და პირიქით, მსხვილი ბიზნესის უპირატესობები მცირე ბიზნესისთვის ნაკლოვანებებს წარმოადგენს.

ემპირიული გამოკვლევები ამტკიცებენ მცირე საწარმოებში განხორციელებულ ბევრ ინოვაციათა წარმატებულობას. დღეისთვის მცირე ინოვაციური საწარმოები უნივერსიტეტებისა და ახალგაზრდა მეწარმეების მონაწილეობით ახორციელებენ ტექნოლოგიურ გარღვევებსა და ინოვაციებს, რომლებიც წინ უსწრებენ მსხვილ კორპორაციებში განხორციელებულ ნოვაციებს. მცირე ინოვაციური საწარმოები წარმოადგენენ ცოდნის მნიშვნელოვან წყაროს; მათი იდეები, პროდუქტები, სტრატეგია, ინოვაციები და ტექნოლოგიები ხშირად შეიძინება და კომერციალიზდება მსხვილი კომპანიების მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილი ბიზნესი დღესაც ასრულებს ინოვაციათა რეალიზაციაში მნიშვნელოვან როლს, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებას, მაგრამ მისმა როლმა ინოვაციათა შექმნაში ტრანსფორმაცია განიცადა. დღესაც სამეცნიერო კვლევათა დიდ ნაწილს მსხვილი ბიზნესი ახ-

ორციელებს, თუმცა მცირე ბიზნესი ნერგავს ინოვაციათა ნახევარს და რადიკალურ ინვესტიციათა 100%-ს, გარდა ამისა, ინოვაციური პროცესის ეფექტიანობა მცირე მეწარმეობაში მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მსხვილში. ეს დაკავშირებულია მცირე ინოვაციური ფორმების რისკისაღმი მიდრეკილებასთან, რომელიც რადიკალურ ინოვაციათა რეალიზაციისას წარმოიქმნება და რომელიც განაპირობებს ამა თუ იმ სფეროში ტექნოლოგიურ რღვევას. მსხვილ კომპანიათა უმრავლესობა ორიენტირებულია არა რადიკალურ ინოვაციათა განხორციელებაზე, არამედ არსებულთა ინოვაციურ სრულყოფაზე.

ინოვაცია არ არის რაღაც დამოუკიდებელი ქმედება. მის განხორციელებას ემსახურება საბაზრო მექანიზმი და სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა, ქვეყანაში არსებული მთელი ინოვაციური სისტემა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ინოვაციები მეცნიერთა, გამოგონებელთა, მეწარმეთა, ნოვატორთა, სახელმწიფო მოხელეთა დაუდალავი შრომის შედეგია. თუმცა მამოძრავებელი ძალა არის კონკურენცია და ადამიანთა ლტოლვა უკეთესი მერმისისთვის. {1. გვ.4}

საქართველოს ინოვაციური საქმიანობის განხორციელების გარკვეული პოტენციური შესაძლებლობები აქვს. თუმცა დღევანდელ პირობებში, როცა მსოფლიო ეკონომიკის სულ უფრო მეტი სექტორი ხდება მაღალტექნოლოგიური, საკმარისი ინოვაციური პოტენციალის გარეშე ქვეყნის განვითარება უკვე შეუძლებელია. მხოლოდ „ტრადიციულ“ დარგებზე ორიენტაცია ქვეყანას მომავალში განვითარების იმედს უკარგავს. მაგალითად, საქართველოში ყოველწლიურად ჩამოსული ტურისტების რაოდენობამ მოსახლეობის სამმაგ ოდენობასაც რომ მიაღწიოს, ამ სექტორის წვლილი ერთ სულზე შემოსავალში იქნება დაახლოებით 3 ათასი აშშ დოლარი წელიწადში, ანუ მდიდარი ქვეყნისთვის დამახასიათებელი მაჩვენებლის 10%-ზე ნაკლები. ასეთ შეფასებებს სხვა დარგების მიმართაც თუ ჩავატარებთ, აღმოვაჩინთ, რომ საქართველოზე, როგორც მდიდარ ქვეყანაზე საუბრის საფუძველი ნამდვილად ვერ გვექნება, თუ საინოვაციო მიდგომებს არ განვაავითარებთ“. {3. გვ.19}

მნიშვნელოვანია, რომ სამომავლოდ საქართველოს საექსპორტო მაჩვენებლების ამაღლება მოხდეს მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებისა და უცხოეთში რეალიზაციის ხარჯზე.

შიდა და გარე ბაზრებზე მუდმივად მზარდი კონკურენციული პირობები ადასტურებს, რომ რეგიონულ განვითარებაში მნიშვნელო-

ვანია მეწარმეობრივი ცოდნის და უნარების ამაღლება, ცოდნის გამოყენებით მიღებული დამატებითი ღირებულების შექმნა. დიდ ნაკლოვანებას წარმოადგენს დაბალი მეწარმეობრივი უნარები. მათ არ გააჩნიათ მომხმარებელზე ორიენტირებული წარმოების გამოცილება, ასევე ინოვაციური ცოდნის მიღების შესაძლებლობები. მეწარმეობრივი უნარების გაზრდის მიმართულებით დიდი წვლილის შეტანა შეუძლია არასამთავრობო სექტორს და საერთაშორისო ორგანიზაციებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ძვრები არსებობს. საქართველოში შექმნილია დაფინანსების საგრანტო მექანიზმები. მაგალითად, რუსთაველის ფონდი აცხადებს კონკურსს კვლევით სამუშაოებზე, რომლებსაც კომერციალიზაციის/პრაქტიკული გამოყენების პოტენციალი გააჩნიათ; საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერი ევროკავშირის პროგრამა ENPARD მრავლად შეიცავს სამეცნიერო-ტექნოლოგიური ხასიათისა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს; შეიქმნა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც მონაწილეობს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ცოდნის, ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში. სააგენტოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საინფორმაციო საზოგადოების ფორმირებისთვის აუცილებელი პროექტებისა და პროგრამების სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკის განხორციელების წარმართვა და კოორდინირება, საქართველოში შეიქმნა პირველი ტექნოლოგიური პარკი, სადაც დიდ და მცირე კომპანიებს შეეძლებათ ერთობლივად მუშაობა, კრეატიულ და საინჟინრო ინდუსტრიის წარმომადგენლებს მსგავსი ეკოსისტემა მისცემს საშუალებას, უფრო მაღალი ღირებულებისა და გლობალურ ბაზარზე გათვლილი საინტერესო პროექტების ინიცირება განახორციელონ.

საქართველოში, მისი ეკონომიკის დღევანდელი დონიდან გამომდინარე, ინოვაციური განვითარება ვერ განხორციელდება უპირატესად საკუთარი კვლევების კომერციალიზაციის ხარჯზე (კვლევითი ინოვაცია), როგორც ეს მოწინავე ქვეყნებში ხდება. საქართველოში იგი განხორციელდება უპირატესად ტექნოლოგიებისა და საუკეთესო პრაქტიკის იმპორტის გზით (არაკვლევითი ინოვაცია). დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ტექნოლოგიების გავრცელებას ქვეყნის შიგნით (დიფუზიას) და ამ პროცესის დაჩქარებას. საინოვაციო პოლი-

ტიკის ამოცანაა ხელი შეუწყოს როგორც საკუთარი ტექნოლოგიების შემუშავებასა და ათვისებას, ასევე მათ იმპორტს, ადაპტირებასა და დიფუზიის დაჩქარებას. სამივე ამ კომპონენტში უნივერსიტეტების, კვლევითი ორგანიზაციებისა და კვლევითი მომსახურების ორგანიზაციების როლი ძალიან მაღალია. ამიტომ, პოლიტიკის მიზანია, ამ ორგანიზაციების (ისევე როგორც საწარმოების) ჩართვა ინოვაციის პროცესში. წარმატებული პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში, საკუთარი (ეროვნული) კვლევები გაძლიერდება (როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში) და კვლევითი ინოვაციების წილი ამაღლდება. {4. გვ.6}.

უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციურ პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები ჩართულია ქვეყნის განვითარებაზე მსჯელობის დღის წესრიგში. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში“ მოცემულია ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების დონის ასამაღლებლად განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები. აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ინოვაციის მხარდასაჭერად საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს: „შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები, რეგიონული განვითარების სააგენტოები და საინოვაციო ცენტრები) განვითარებას და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას, კვლევისა და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფას უმაღლესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კვლევითი ლაბორატორიებისთვის, უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლისა და კვლევის პროცესების ინტეგრაციას. უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში ამოქმედდება კვლევითი საქმიანობის შედეგების მონიტორინგის ერთიანი სისტემა და შედეგზე ორიენტირებული დაფინანსების მოდელები“. {5. გვ.42}.

ლიტერატურა:

1. **აბესაძე რ.**, „ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“ 27-28 ივნისი, 2014 წ.;
2. **აბრალაძე ა.** „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები“, თბ. 2014;
3. **შატბერაშვილი ო.**, საინოვაციო პოლიტიკა საქართველოში: მითები და სინამდვილე. <http://europeanchoice.ge/science/shatberashvili>
4. **შატბერაშვილი ო. ქოჩორაძე გ. ცაცანაშვილი მ.** „საინოვაციო პოლიტიკა საქართველოში: რეკომენდაციები საქართველოს ეკონომიკას“. აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმა, მეორე სამუშაო ჯგუფი – „ეკონომიკური ინტეგრაცია“, თბ. 2013“
5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020
6. **ცეცხლაძე ლ.** „მცირე ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სტრატეგია თანამდროვე საბაზრო სისტემაში“ თბ. 2013.

2020 წლისთვის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის მთავარ შედეგად მიიჩნევა: „კომპანიების მიერ მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსფერი და პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, სამეცნიერო წრეებსა და ბიზნესს შორის კავშირის გამყარება, ინოვაციების დამაკმაყოფილებელი დონის არსებობა, ამის შედეგად ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქტებზე ორიენტაცია.“ {5. გვ. 44}

მიუხედავად გარკვეული ძვრებისა, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ჩვენი ქვეყნის ინოვაციურობის მაჩვენებელი არასახარბიელოა. საინოვაციო საქმიანობის შეფასება ევროპული ინდიკატორების გამოყენებით ხორციელდება. ასეთ ინდიკატორებად აღიარებულია:

1. ინოვაციური პოტენციალის შეფასება, რითაც განისაზღვრება ინოვაციური პოტენციალისთვის საჭირო სტრუქტურული პირობები.
 2. კვლევისა და განვითარებაში ჩადებული ინვესტიციების რაოდენობა;
 3. კორპორატიულ დონეზე ინოვაციებზე გაწეული ხარჯები;
 4. ინოვაციურ სექტორებში ცოდნის გამოყენებით მიღებული დამატებითი ღირებულება, მეწარმეობრივი ცოდნა და უნარები;
 5. ინტელექტუალური საკუთრების რაოდენობა, რომლითაც გაიზომება ნოუ-ჰაუს საკითხებში მიღწეული შედეგები.
- GCI-ის რეიტინგის მიხედვით, 2014-15 წლებში საქართველოს 121-ე პოზიცია უკავია ინოვაციების მიხედვით. არახელსაყრელი მდგომარეობა გვაქვს ისეთ კომპონენტებში, როგორცაა: ინოვაციური შესაძლებლობები (110), სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი (119), კომპანიის ხარჯი კვლევისა და განვითარებაზე (126), მეცნიერებისა და ინჟინრების არსებობა (122), ინდუსტრიული ინსტიტუტების მონაწილეობა კვლევა-განვითარებაში (128), პატენტებით სარგებლობა (65).

მენეჯმენტი - მარკეტინგი

სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი



გელა მამულაძე

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

GELA MAMULADZE,

Doctor of Economics,
Professor of Batumi Shota Rustaveli Shtate University

ანოტაცია

წარმოდგენილ სტატიაში შესწავლილი და გაანალიზებულია კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, გამოკვეთილია მისი როლი როგორც ბიზნესის, ისე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. შესწავლილია სოციალური პასუხისმგებლობის მხრივ არსებული ვითარება, როგორც ევროპულ და ამერიკულ, ისე ქართულ კომპანიებში; წარმოდგენილია სხვადასხვა კომპანიების მიერ სოციალური პასუხისმგებლობის ამსახველი ზოგიერთი ღონისძიებები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა (ხორციელდება) საქართველოში ამა თუ იმ კომპანიის მხარდაჭერით.

ნაშრომში ასევე გაანალიზებულია სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმა — ქველმოქმედება. გამოკვეთილია ყველაზე გამორჩეული კომპანიები, რომლებიც დღესდღეობით საქართველოში ქველმოქმედების მიმართულებით ახორციელებენ საქმიანობას და გამოკვეთილია ქართულ სინამდვილეში კომპანიების მიერ განხორციელებული ქველმოქმედების მანკიერი მხარეები. ასევე შესწავლილი და განხილულია საქველმოქმედლო

საქმიანობის ძირითადი მიმართულებები დასავლეთისა და აშშ-ს მაგალითებზე.

ნაშრომის ბოლოს, დასკვის სახით, აღნიშნულია, რომ მაშინ, როცა ბაზარზე კონკურენცია ღილია და იგი ყოველდღიურად მძაფრდება, ბაზარზე პოზიციების შენარჩუნებისა და მისი შემდგომი განმტკიცებისთვის საჭიროა, კომპანიებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხების წინ წამოწევის, რადგანაც სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიას ნდობასა და ერთგულებას მოაპოვებინებს, რაც მისი წარმატებული და მდგრადი მომავლის გარანტიაა. კომპანიებმა უნდა გააცნობიერონ, რომ წარმატების მისაღწევად მათ უნდა იხელმძღვანელონ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტებით და აწარმოონ ანგარიშგება საზოგადოების წინაშე. წარმოდგენილია წინადადებები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას. ეს ყოველივე კი გაზრდის მომხმარებელთა ლოიალობასა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობას.

საკვანძო სიტყვები: კონკურენტუნარიანობა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, იმიჯი, რეპუტაცია, ქველმოქმედება.

SOCIAL RESPONSIBILITY, AS A SIGNIFICANT FACTOR TO IMPROVE THE COMPETITIVENESS COMPANY

Abstract

The article explored and analyzed the theoretical and practical aspects of social responsibility, Highlights its role as a business, as well as the socio-economic development. It has investigated social responsibility of the current situation, as an European and American, as well as the companies; Various companies represented some measures reflecting the social responsibility, which in recent years has been carried out (implementing) in Georgia with the support of some company.

The paper also analyzes one of the forms the social responsibility - Charity. The most featured companies are identified, which now in Georgia implementing the activities by the charity direction and demonstrates the charity faulty points of the Georgian companies. Also it has been studied and discussed the main directions of the charitable activities of the West and the US example.

At the end of the paper, in the form of conclusions, the report states that while the market competition is high and it is growing daily, To maintain and further strengthen its position in the market, companies need to pay special attention to corporate social responsibility issues and problems, because the social responsibility gives trust and loyalty to the company as it is the guarantee of a successful and sustainable future. Companies need to understand that to succeed they should be guided by the highest standards of corporate social responsibility and carry out reporting to the public. Taking in to account the represented suggestions will promote social responsibility awareness. All this will increase the tolerance of consumers and the competitiveness of businesses.

